საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 თებერვალი, 2013 წელი.

№30 (7157)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

კუდი ძაღლისა არ განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს

4

მოვიდა დრო, ბიძინა ივანიშვილმა მაგიდას მუშტი დაჰკრას!..

3

„მერიაში გვითხრეს, გრძელი ფეხები გაქვთ, კარგადაც დარბიხართ და შენობებში შეიჭერითო“

5

გადაცემის იმედი არ არსებობს

გივი თარგამაძე ბრალდებულია

10

რუსეთში უნესრიგობის მომზადების საქმეში

მოყვარე მინდა მოყვრული და ამყროებელი ხელისა...

2

კვირაძალს საკითხავი

ნაციონალიზმი ჩვენში და სხვაგან

6 7

ეკლესია ქართული და რუსული გუმბათებით...

წინ ალვუდგეთ ალვირახსნილობას, სიბინძურეს

8 9

ლიტერატურაში!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველო აუცილებლად გადარჩება

საქართველო აუცილებლად გადარჩება, გავა სამშვიდობოზე და ქართველი ხალხი გაიხარებს, –ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სადღესასწაული წირვის შემდგომ ქადაგებაში ბრძანა.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ბევრს შურს საქართველოსი, მაგრამ სამშობლო და მისი სიყვარული არის ღვთის ჯილდო და ყველაზე დიდი სათნოება.

უწმინდესმა მრევლს მირქმის დღესასწაული მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს არის უდიდესი დღესასწაული, რომლის დროსაც ერთმანეთს ხვდებიან ძველი და ახალი აღთქმა. როგორც უწმინდესმა ბრძანა, ამ დღეს ძველი აღთქმა თავის მისიას ასრულებს და ახალი იწყება.

– არის დღე, როდესაც მართალი სვიმეონი სული წმინდით მივიდა ტაძარში და იქ დახვდა იესო. ამის შემდეგ ის უკვე სიხარულით აღესრულა. ეს არის სანატრელი ყოველი ადამიანისთვის, რომ უფალმა იგი მშვიდობით წაიყვანოს. ამისთვის საჭიროა რწმენა, სიყვარული, კეთილი საქმეები და სულიერი მოღვაწეობა. შრომის გარეშე არაფერი გამოდის, ამიტომ სულიერ ცხოვრებაშიც საჭიროა შრომა, –ბრძანა უწმინდესმა და ისურვა ღვთის წყალობა და სულიწმინდის მადლი ფარავდეს სრულიად საქართველოს.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, საქართველოს უამრავი განსაცდელი ხვდება, თუმცა, ღვთის მადლით მისი მომავალი მშვიდობიანია.

– ეს არის ჩვენი გამოცდა. საჭიროა მოთმინება და სულგრძელობა. არავინ უნდა იფიქროს, რომ თუ ადამიანი ქართველია, მას საქართველო უფრო მეტად უყვარს, ვიდრე სხვას. ჩვენ ყველას გვიყვარს სამშობლო. ქართველი ადამიანი სიცოცხლეს სწირავდა და წირავს სამშობლოს კეთილდღეობისთვის, საქართველო აუცილებლად გადარჩება, გავა სამშვიდობოზე და ქართველი ხალხი გაიხარებს, – ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგების დასასრულ პატრიარქმა რამდენიმე სასულიერო პირი დააჯილდოვა და ასევე დალოცა ავღანელთა კავშირი და მისი თავმჯდომარე ნუგზარ კახნიაური. პატრიარქმა ასევე გაიხსენა, რომ წლების წინ ავღანეთიდან ჯარის გამოყვანა ძალიან რთული პროცესი იყო.

– როდესაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ვიყავი და რუსეთის დღევანდელი პატრიარქი კირილი იყო ცენტრალური კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საერთო კრებაზე დადგა საკითხი, ვინ უჭერდა ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის ჯარის გამოყვანას, ამას ყველამ მხარი დაუჭირა, მაგრამ ეს იყო ფაქტობრივად ხელისუფლების საწინააღმდეგო აქტი და მაშინ მიტროპოლიტ კირილს ამის გამო ბევრი განსაცდელი შეხვდა, – ბრძანა უწმინდესმა.

◎ რეპლიკა

დასწრების პოლიტიკა იმიჯის შესაქმნელად

„ახლა გინდ შაიტანეთ, გინდ გამაიტანეთ თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანიო“, – სწორედ ეს გამახსენდა, როდესაც ნაცებმა ამაყად განაცხადეს, საკონსტიტუციო ცვლილებები შეიძლება ვადამდე შევიდეს ძალაში, რადგან ჩვენვე გამოვდივართ ინიციატივით, რომ პრეზიდენტის უფლებები შეიზღუდოსო. სრულად დემოკრატიული და მისაღები იქნებოდა მიშას ეს გადაწყვეტილება (მიშასი, რადგან ნაცებს თავისი აზრი და ინიციატივა ხომ არ გააჩნიათ), ერთი ფაქტი რომ არა: – პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა: **„ჯერ კიდევ ნოემბერ-დეკემბერში შევთავაზეთ ეს, თუმცა, იმ დროისთვის ისინი არ იყვნენ მზად, პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირება მათთვის მისაღები არ იყო, ახლა, შექმნილ ვითარებაში კი, თავად გამოვიდნენ ამ ინიციატივით და ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ამ თემაზე“.**

ასეა ყოველთვის, დღესდღეობით მიშას მხოლოდ მის მიერვე ვირეშმაკულად გადაკეთებული კონსტიტუციით დარჩა პრეზიდენტის სახელი რამდენიმე თვით, ისე კი არავითარი ძალაუფლება მას არა აქვს. ქუჩაში სტვენითა და კვერცხების სროლით ხვდებიან. ეს პროტესტის გამოხატვის ყველაზე დაბალი ხარისხია ჩვენში. ხალხი ივანიშვილსა და მის მომხრეებს რომ არ სცემდეს პატივს (უბრალო მიზეზის გამო, რომ ნაცები და მათი მფარველ-მამები ევროპასა და ამერიკაში ყველა ამგვარ ქმედებას „მეოცნებეებსა“ და ქართველ ხალხს აბრალებენ) ერთ საათში მოუღებდა ბოლოს არამარტო მიშას, არამედ მთელ ნაცმოძრაობაში შერჩენილ, „კამიკაძე ვირთხებს“. სხვა რაღა დარჩენოდათ, თავად დაიწყეს ნაპრეზიდენტალის ძალაუფლების შემცირებაზე საუბარი. ეს იმას ნიშნავს, რომ თავიანთი რუმბივით გაგორებული პრეზიდენტი გინდ ძალაუფლებით, გინდ უძალაუფლებოდ მაინც არარაობაა და ამ განცხადება-ინიციატივით კვლავ უცხოეთთან ქულებს იწერენ თავგადაკლული დემოკრატების იმიჯის შესაქმნელად.

ავთანდილ ბექაური

◎ ცესკო

პარლამენტის შუალედური არჩევნები 27 აპრილს გაიმართება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, პარლამენტის შუალედური არჩევნები 27 აპრილისთვის დაინიშნა. აღნიშნულის შესახებ განკარგულება ცესკომ გუშინ გამართულ სხდომაზე მიიღო. მისივე განმარტებით, 27 აპრილს არჩევნები ნაძალადევის, ბაღდათისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქებში შედგება.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლის გამო, ამ ოლქებში მაჟორიტარის უფლებამოსილება შეუჩერდათ – თეა წულუკიანს, კახა კალაძესა და არჩილ კბილაშვილს.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის მაჟორიტარობის კანდიდატებზე, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ჯერ შეთანხმებული არ არიან. როგორც ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, კანდიდატებზე კოალიცია ერთობლივად იმსჯელებს.

◎ „გადარბენა“

ზონზიმ ნაცებს უგანა

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთმა წევრმა – ზურაბ გაჩეჩილაძემ, იგივე შონზომ დატოვა. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ზურა გაჩეჩილაძემ დამოუკიდებლად მიიღო და უკვე შეუერთდა ფრაქცია „თავისუფლებას“.

შიხიაშვილი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძარობის“ რღვევა გრძელდება და გაგრძელდება, ვიდრე ხალხი არ მიიღებს იმას, რის გამოც გააკეთა არჩევანი.

– ხალხს უნდა სამართლიანი, დაბალანსებული ხელისუფლება ქალაქში. აქედან გამომდინარე, ყველა გონიერი, ღირსეული ადამიანი, ვისაც პასუხისმგებლობა აქვს საკუთარი ამომრჩევლის წინაშე, გაემიჯნება „ნაციონალურ მოძრაობას“ და უახლოეს მომავალში დატოვებენ მათ რიგებს, – განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

რაც შეეხება კითხვას, თავად ზურა გაჩეჩილაძემ რატომ არ გააკეთა ეს განცხადება, შიხიაშვილის ინფორმაციით, ის თბილისში არ იმყოფება, ერთ კვირაში ჩამოვა თბილისში და თვითონ გამოეხმაურება ამ ფაქტს. რაც შეეხება მიზეზს, თუ რის გამოც დატოვა ფრაქცია ზურა გაჩეჩილაძემ, შიხიაშვილი ამბობს, რომ მიზეზი არის ის მოვლენები, რომელიც ვითარდება ბოლო დროს, ხოლო მთავარი მასტიმულირებელი იყო 8 თებერვალი. შიხიაშვილის განცხადებით, ამ დროისთვის საკრებულოს უმრავლესობაში კვლავ „ნაციონალური მოძრაობაა“, 29 დეპუტატით, ხოლო ოპოზიციაში – 18. რაც შეეხება კონკრეტულად ფრაქცია „თავისუფლებას“, მათი რაოდენობა 7-მდე გაიზარდა.

◎ განსჯა

მოყვარე მინდა მოყვრული და ამპყრობელი ხელისა...

30-31 იანვარს ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა წინადადებით მიმართეს პარლამენტს და მოითხოვეს, რომ საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ევროატლანტიკური კურსი, ნატოს ბლოკისაკენ სწრაფვა განისაზღვროს კანონმდებლობით, რომელსაც დააკანონებს პარლამენტი და რომლისგანაც გადახვევა მომავალში არავის ხელეწიფება.

ეს თემა დღეს, თითქმის ყოველდღიურად გვახსენებს თავს და, როგორც ჩანს, ძალდატანებით, უსაფუძვლოდ აქტუალობას იძენს. ასეთი კანონპროექტის მიღება პარლამენტის მიერ, გარკვეულ მიზეზთა გამო, შეუძლებლად მიმაჩნია, რაზეც მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

ნატოში საქართველოს უსაფუძვლო სწრაფვამ, როგორც ვნახეთ, მოგვცა რუსეთთან კონფლიქტის გაღრმავება, შედეგად – დაკარგული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. მეზობელი რუსეთი, რომელსაც ანგარიშს უწევს ნატოში შემავალი ყველა სახელმწიფო, გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნის ამ გზაზე, რაც ნატოში საქართველოს გაწევრების შესაძლებლობას არარეალურს ხდის. მიუხედავად ამისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებები არსებული კურსის გასაგრძელებლად და მზრუნველობა ნატოს ბლოკისაკენ სწრაფვისა, გონივრულ, სწორ პოლიტიკურ ნაბიჯად მიმაჩნია. საკითხისადმი ასეთი მიდგომა საქართველოს შესაძლებლობას აძლევს რუსეთთან პოლიტიკური გარიგებისა საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველო უარს იტყვის ნატოს ბლოკში გაწევრების სურვილზე, რომელიც რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამის სანაცვლოდ, რუსეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების აღდგენით მივიღებთ რუსეთის თანადგომას დაკარგული ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად, ასეთი მოსაზრება, შეიძლება სრულიად ლოგიკურად ჩაითვალოს, რადგანაც ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთის კეთილნების გარეშე შეუძლებელია აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნება, მიუხედავად თუნდაც ჩვენი ძმების – აფხაზების, ოსების და ჩვენი დიდი სურვილისა. ეს რეალობაა.

არაერთხელ მოგვისმენია ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენელთა ვარაუდი „ევროკავშირის“ შესაძლო დაშლის შესახებ (2012 წლის 15 იანვარს კურერით გადმოიცა უნგრეთში მოსახლეობის მასშტაბური აქციის შესახებ ევროკავშირის დატოვების მოთხოვნით. მიტინგები იგივე მოთხოვნით გაიმართა სლოვენიაში და ჩეხეთში... ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ელის უახლოეს თუ შორეულ მომავალში ნატოს ბლოკს, რომელიც თავის დროზე აუცილებლობიდან გამომდინარე შეიქმნა. რუსეთთან საქართველოს მეზობლობა კი თვით ბუნებით, ღვთისაგან არის განპირობებული. საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ქართული ხალხური სიბრძნე გვარიგებს: სიბრძნე ის არის, მტერს რომ მოყვარედ გიხდი, მაგრამ, როდესაც მოყვარეს მტრად გადაიკიდებ, ეს რეგვენობასთან ერთად, დიდი დანაშაულიცაა, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება.)

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ სინამდვილეში უახლოესი ათწლეულების მანძილზე საქართველოს ნატოში შესვლის რეალური შესაძლებლობა გამორიცხულია, ასეთ დროს კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა: აღებული საგარეო კურსი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და ეროვნული დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნებით, რაც ასე დიდად აუცილებელია საქართველოს მომავლისათვის, რათა გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პირობებში ჩვენი ღირსეული ადგილი დავიჭიროთ.

ყველა ქართველისათვის, ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის, ვისაც აწუხებს ქართველი ერის ბედი, უპირველესად, მთავარია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და არა ნატო. ნატო ამ გზაზე მხოლოდ და მხოლოდ საშუალება უნდა იყოს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელი რეალობა მოწმობს, რომ კვლავ არჩევანის წინაშე შეიძლება დავდგეთ...

ნაცმოძრაობის მიერ ერთხელ უკვე ჩატარებული რეფერენდუმი, სადაც თითქოსდა ქართველი ხალხის 75 პროცენტმა გამოხატა ნატოში შესვლის სურვილი, რომლითაც ისინი დღეს მუდმივად სპეკულირებენ, გაყალბებული იყო ისევე, როგორც მათ მიერ 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ჩატარებული ყველა არჩევნები.

ამიტომ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რეალური საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისათვის, თუ ასეთი აუცილებლობა დადგება და, ვფიქრობ, რომ გარკვეული დროის მანძილზე ეს აუცილებლად დადგება საქართველოს პარლამენტის წინაშე, იგი, უპირველესად, უნდა გამოხატავდეს ქართველი ხალხის ნებას საყოველთაო რეფერენდუმის სახით.

მართალია, ბატონი ბიძინა ივანიშვილი იცავს საქართველოს მიერ აღებულ ევროატლანტიკურ კურსს, ზრუნავს ნატოს ბლოკში გაწევრებისათვის, მაგრამ როგორც ვხედავთ, იგი ნამდვილად დემოკრატი ადამიანია და თუ დადგა საკითხი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის კიდევ ერთხელ **დამარწმუნებლად განსაზღვრისა,** ასეთ შემთხვევაში ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს ქართველმა ხალხმა სამართლიანი რეფერენდუმის გზით, რაშიც დარწმუნებული ვართ საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი ერთსულოვანი იქნება.

ნიაზ ბოლქვაძე,
მამულიშვილთა კავშირის თავმჯდომარე.
ბათუმი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მოვიდა დრო, ბიძინა ივანიშვილმა მაგიდას მუშტი დაჰკრას!..

„ცოცხი“, უნდა უპასუხო, რადგანაც უტიფარ ნაცებთან სერიოზულ პოლემიკაში შესვლა შეურაცხმყოფელი მგონია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვინ დაგიჯერა როო?

ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა...

ამ დავითობის შემდეგ, „რუსთავი 2“-ის ცნობილმა პროფესიონალმა პასკვილანტმა და ნატოს ოფისის „დვარნიაშკა“ თენგიზ გოგოტიშვილმა, კვირის P.S.-ში 8 თებერვლის მსუბუქი ექსცესი, როგორც სისხლიანი მოვლენები, ასე დააანონსა!

რატომ, მხოლოდ ჩიორა თაქთაქიშვილის გახეთქილი ცხვირის გამო, ვინც დემონსტრატიულად, დიდი ხნის განმავლობაში არ მოიწმინდა ორიოდე წვეთი სისხლი?

კოკი იონათამიშვილს მინდა ვკითხო, რომელმაც ჩიორაზე ხელგადასვეულმა აგვიჩუყა გული – ამას წინათ, გმირთა მოედანზე ვეტერანების აქცია რომ დაარბიეს და ერთ ქალბატონს, დარბეული ვეტერანი ქმრის თვალწინ, კუდის თანამშრომელმა სახეში მუშტი რომ გლიჯა, მაშინ სად იყავი კოკი, რატომ არ გააპროტესტე? – კოკი კი არა, კიკუ ხარ და იმიტომ...

რა თქმა უნდა ქალის, თუნდაც ჩიორას მსგავსი „უმსგავსი“, უტიფარი დედაკაცის ხელით შეხება დასაგმობი და მიუღებელი საქციელია მამაკაცისთვის, მით უმეტეს საქართველოში, მაგრამ... ეს ერთი, თითქოს უწყინარი სიტყვა „მაგრამ“ არის, რომ ყველაფერს თავდაყირა აყენებს: ჩიორა თაქთაქიშვილი, ქეთი გაბიანი, მაია ორჯონიკიძე, თეა თუთბერიძე, ირმა ნადირაშვილი, ამ ბოლო დროს საიდანღაც გამოჩხრეკილი ნათია მეგრელიშვილი და ა.შ. დანი მათნი, მართალია, კალმით ნახატი მზეთუნახავები არა, მაგრამ ყველანი მეტ-ნაკლებად მიმზიდველნი (გემოვნებას გააჩნია) არიან და სწორედ ეს ქალური მიმზიდველობა, გნებავთ, შარმია ის მუხრუჭი მამაკაცისთვის, რაც ქალის შეურაცხყოფას, მით უმეტეს ფიზიკურს, ფიქრადაც კი გამორიცხავს.

მაგრამ, როდესაც ეს მანდილოსანი პირს გაღებს და წარაუგონოდ წიკვინს იწყებს, იმ მანდილიდან თითქმის აღარაფერი რჩება და ჩიორას ცხვირიც ამ ოპერიდან არის – ვიმეორებ, ამას ჩიორას სისხლის გასამართლებლად კი არა, ამ სამწუხარო ფაქტის ასახსნელად ვამბობ...

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარი წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო თუ სპონტანურად მოხდა და თუ მაინც დაგეგმილი იყო, ვის მიერ. მე, როგორც უშუალო თვითმხილველი და მონაწილე იმ აქციისა, დარწმუნებული ვარ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციაში, რომლის ავტორი მიხეილ ვადაგასული მგონია, ხოლო შემსრულებელი აქტიორები, გიგი უგულავას თამადობით მოსული ნაცბანდის წევრები!

ჯერ იყო და თავად 8 თებერვალს, მაინცდამაინც დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს პარლამენტში გამოსვლის სურვილი, უკვე პროვოკაცია იყო, რადგანაც ცნობილი ამბავია, რომ ვადაგასული მიხეილი არა მხოლოდ სიზმარში უტოლებს თავს უვადოდ აღიარებულ უდიდეს მეფეს საქართველოსას, არამედ ცხადშიც არაერთხელ უწოდებია მისთვის აღმაშენებელი მიშას ჯიბის მეუფე კალისტრატეს და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი აპლომბით შეაბიჯებდა პარლამენტის დარბაზში გელათმოვლილი, დავითის საფლავზე კიდევ ერთხელ „ფიცდადებული“ მიშა, სადაც სტუმართა ლოჟაში პატრიარქი თუ არა, კალისტრატე უეჭველად იქნებოდა?

პარლამენტის უარის შემდეგ, მისთვის რომ დაეთმოთ ტრიბუნა სატრაბახოდ, კიდევ ერთხელ დაინახავდა ვადაგასული საკუთარ უსუსურობას. ბიბლიოთეკის ვარიანტი მიხეილ მაღალის და მისი ნაცბანდის ზიზღის გამოხატვა იყო ქართველი საზოგადოების მიმართ. საზოგადოებისა, რომელსაც არანაკლებად ეზიზღება სადისტი მეცოცხეები!

ვინც მიხეილ ვადაგასულის ავლაბრის რეზიდენციაში გამოსვლას უყურა, დამეთანხმება, რომ აშკარა ნერვიულობის ფონზე, იქამდეც კი, რომ სიტყვებიც „ეყლაპებოდა“, მიუხედავად ვითომდა შემრიგებლური რიტორიკისა, აშკარად უციმციმებდა თვალებში ზიზღის ეშმაკუნები – რომ შეეძლოს მთელს საქართველოს გადაბუგავდა.

რაც შეეხება ქალაქის მერს, ისიც ყველამ ვნახეთ, თუ როგორ აშკარად იწვევდა საზოგადოებას, როგორ ილტვოდნენ ფიზიკური შეხლა-შემოხლისკენ, რასაც მიაღწიეს კიდეც და დასავლეთის თვალში წამებულ-დევნილთა მანტიაც მოირგეს!

ახლა კი ურცხვად აცხადებს ჩვენი ტანადი, ასე ვთქვი, „როგორც ჩანს თქვენ შოუ გინდათო“, სიტყვა სიტყვით ასე „დაპოსტა“ ფეისბუქში ამ უნამუსომ. არა გიგი, შენ იქვე, „გეთაყვაც“ დაამატე და ნუ თავმდაბლობ შეკაცო...

ასე იყო თუ ისე, იმავე დღეს დაკავეს ყოფილი პოლიტპატიმრები მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი, რომელთაც მეორე დღეს 100 ლარი ჯარიმა მიუსაჯეს, გელა მამალაძესაც, ვინც ჩიორას, სერგო რატიანისა და გიგა ნას(რ)არიძის ცემაშია ეჭვმიტანილი, უკვე გამოუტანეს ვერდიქტი – 2000 ლარი ჯარიმა!

ირაკლი ღარიბაშვილის დანაპირების, ყველა დაისჯებაო, ნაცებთან მიმართებაში რა მოგახსენოთ? დაკითხვაზე მისვლას არ აპირებენ დეპუტატები თუ ქალაქის მერი და საკუთარ კაბინეტებში ეპატიჟებიან გამომძიებლებს – ასეა ბატონო, როდესაც ამას წინათ გამონაკლისი დაუშვით და გიგი უგულავას კაბინეტში ეახელით, ეს „გამონაკლისი“ წესად აქციეს და გაეცით ახლა პასუხი, ბატონო მინისტრებო!

როგორც ჩანს, პედერასტების ცემა საქართველოში 100 ლარი ღირს...

მესხი-ვაჩნაძის სასამართლოს შემდეგ ვიანგლე ფეისბუქში და პარალელი შარშან 17 მაისს რუსთაველზე გეიპარადის ჩაშლასთან გავავლე, რომლის ერთ-ერთი ფიგურანტები მე და სოსო მანჯავიძე გახლდით. მაშინ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი და დღეს პოლიტიკური პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის (სპა)“ გენერალური მდივანი, პედერასტისთვის გაწნული „მამაშვილური“ ალიყურისთვის, 100 ლარით დააჯარიმეს – რა პედერასტი და რა მათი მფარველი ნაცები-მეთქი, რატიანის და ბლანჟეცანცარა ნასარიძის „დაზარალება“ მქონდა მხედველობაში და იქვე დავამატე – თუ არ მოისვენებენ ნაცები, მზად ვარ ოჯახის ბიუჯეტი 100 ლარით მეც დავაზარალო-მეთქი...

მაგრამ პლაგიატებს რა გამოლევს და ნაცების ახალმა დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ, როგორც ჩანს, ჩემგან გადაიწერა იმ პოსტის პირველი ნაწილი და მცირედი პერიფრაზით განაცხადა:

„როგორც ჩანს, დეპუტატების ცემა 100 ლარი ღირს და სწორედ ეს სასჯელი დაავალა სასამართლოს ბიძინა ივანიშვილმაო“!..

აკი ზემოთ ვთქვი, ამათ ნაგლობა-ციინიზმს საზღვარი არა აქვს-მეთქი – იქნებ ისიც გვითხრას ბატონმა ჯაფარიძემ, ვინ დაავალა სასამართლოს ის, რომ მკვლელების, მკვლელობაში მონაწილეების მიმართაც კი არ იყენებენ წინასწარ პატიმრობას და გირაოთი ანთავისუფლებენ ყველას?

აგერ ახლა, ბუტა რობაქიძის მკვლელობის მიჩქმალვაში, თეატრალიზებულ დადგმაში ეჭვმიტანილი გურგენა დონაძე 25 ათასის, დანარჩენები 15 ათასის სანაცვლოდ გაანთავისუფლეს და გელა მამალაძესთვის კუბლაშვილის სასამართლოს, თუნდაც ჩიტი-ჩიორას ცხვირის გამო, აგრეთვე დაკავებული ნიკოლოზ არაბულისთვის სერგო რატიანის გამო ორთვიანი წინასწარი პატიმრობა რომ მიესაჯათ, არ იქნებოდა ეგ ამბავი მთლად ლამაზი, ბატონო ბიძინა!..

დავით მხეიძე

P. S. ეკონომიკის გაჯანსაღებას და სამუშაო ადგილების შექმნას დრო დასჭირდება, მაგრამ სამართლიანობას, როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ, მოკლე დროში აღვადგენთო! გახსოვთ, ალბათ, ბიძინა ივანიშვილის დანაპირები, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არ ყოფილა ეს საქმე იოლი, რადგანაც ამ საქმეში მხოლოდ ქართული ოცნების პოლიტიკური ნება, რაც უდავოა, არ გამოდგა საკმარისი, რადგანაც ჩვენი დასავლელი მეგობრების ნება, ქართველი ხალხის ნების დიამეტრალურად საპირისპირო ყოფილა!

საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარის შემდეგ, ნაცების ევროპელი მხარდამჭერების ჯარი მოაწყდა საქართველოს. ევროპარლამენტის სახალხო პარტიის დელეგაციამ, „ლოგინად ჩავარდნილი“ ჩიორა მოინახულა!

ჩიორამ, სოფი ლორენის ფილუმენა მეძავის როლი გამახსენა ცნობილი ფილმიდან „ქორწინება იტალიურად“...

ხოლო სახალხო პარტიის ლიდერმა მარტენსმა ისეთი განცხადება გამოაქვეყნა, რომ ეს ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხებაა და მეტი არაფერი – სამწუხაროდ, ქართული დემოკრატია, რომელსაც წლების მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ ახსენებდა სააკაშვილი, ჩვენს თვალწინ ორ თვეში დაინგრა და ამიტომ ევროკავშირს საქართველოსთან უვიზო რეჟიმზე საუბარს აზრი არა აქვსო!

აი ასე, არც მეტი და არც ნაკლები, ციტირება არა, მაგრამ შინაარსობრივად ეს მოგვახალა ევროპის სახალხო პარტიამ, რომლის სატელიტები ნაციონალები არიან!

უფრო მეტიც, ნაცებთან ერთად, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატებიც გახლავან იმ ლიბერალური ინტერნაციონალის წევრები, რომელშიც სახალხო პარტია დომინირებს!

დასკვნები თავად გააკეთეთ მკითხველნო...

მე კი მგონია, რომ მოვიდა დრო, ბიძინა ივანიშვილმა მაგიდას მუშტი დაჰკრას, საჯაროდ მიუჩინოს ადგილი ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“ და მათ აქაურ, პარლამენტში თუ მის გარეთ არსებულ სატელიტებს და ქართველ ხალხს, მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ნებას დაეყრდნოს!!!

დ. მ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საძულველი ნაციონალების ნამდვილი სახე

კუდი ძაღლისა არ განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს

უგუნურობას ჭკუა არ მოეკითხება, მაგრამ, როცა უგუნურობა ახასიათებს პარლამენტის შემადგენლობის 40 პროცენტს, ხოლო მას ზურგს უმაგრებს დე ფაქტო პრეზიდენტი ხალხის მიერ არჩეული მთავრობის დათხოვნის უფლებით, ეს უკვე საქვეყნო პრობლემაა.

უგუნურობის მიზეზების შესახებ სრულყოფილი სამედიცინო დასკვნა ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ნახელისუფლარ ნაციონალებს პოლიტიკური ათეროსკლეროზი ნამდვილად სჭირთ, რაც მათ სააზროვნო სისტემაში რეალური ინფორმაციის მიწოდებას აბრკოლებს, რის შედეგადაც სინამდვილის სწორად აღქმის საშუალებას მოკლებულნი არიან. აქედან მოდის ის აბსურდის სპექტაკლები, რასაც ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე დგამენ.

არადა, ამგვარი სპექტაკლების დადგმის უფლება ნაციონალებს კონსტიტუციურად კიდევ საკმაოდ დიდ ხანს გააჩნიათ, რასაც გამოცდილი და ექსცენტრიული რეჟისორიც ჰყავს სააკაშვილის სახით.

ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ხალხის მიერ თავდადებული ბრძოლით დამარცხებული ნაცრეჟიმის რეანიმაციის გასაღები საქართველოს კონსტიტუციაშია, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია დაითხოვოს მთავრობა, ხოლო აპრილის ორი კვირის განმავლობაში პარლამენტიც ზედ მიაყოლოს. ქართული საზოგადოებისა და დასავლეთის თვალში ამგვარი ცვლილებებისათვის პოლიტიკური ნიადაგის მომზადება ნაციდეოლოგების მიერ გამალებული პროპაგანდითა და პიარით მიმდინარეობს. ჯერ იყო და, სააკაშვილმა ღიად განაცხადა, რომ ახალი მთავრობა ისე ცუდად მუშაობს, რომ, ვეჭვობ, აპრილამდე გაძლოსო, ხოლო შემდგომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა მერაბიშვილმა, რომელიც აქამდე ენაბლუდ იყო აღიარებული, მაგრამ ამ ბოლო დროს მეტყველი გახდა, ასევე საჯაროდ წამოროშა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მთავრობის შეცვლას 4 წლის განმავლობაში ვერ დაელოდება, ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევიწროვდეს და მისი შეცვლა დაჩქარდესო.

ამის საპასუხოდ „ოცნება“ ცდილობდა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოეპოვებინა უმცირესობის წევრთა გადაბირებით, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ეს ამ ეტაპზე ვერ მოახერხა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა საკმაოდ მონოლითურს ხდის მასში მონაწილეთა ერთობას, რათა ერთობლივად გაუმკლავდნენ მოსალოდნელ საერთო საშიშროებას.

ნაცპარტიამ სავაჭრო საგნად გახადა შეთავაზებული კონსტიტუციური ცვლილება და ქვეყნის ბედზე გულშემატკივრის სახით რომ წარმდგარიყო ხალხის წინაშე, სამაგიეროდ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირისკენ პოლიტიკური ორიენტაციის კონსტიტუციაში დაკანონება მოითხოვა. იცოდა რა, რომ ეს იყო აბსურდული მოთხოვნა, რის არგუმენტირებულ დასაბუთებას სხვა წერილში ვეცდებით, პარალელურად მოითხოვდა ე.წ. კოჰაბიტაციის რეჟიმში თანამშრომლობას, რაც მათი გაგებით ნიშნავს ნაცრეჟიმის პერიოდში ჩადენილ დანაშაულობებზე სამართლებრივი დევნის შეწყვეტას. სწორედ ეს არის ამჟამად ნაციონალებისთვის მთავარი პრობლემა. სააკაშვილის ბოლო გამოსვლის ძირითადი გზავნილიც ეგ არის, რომ ეკონომიკური ამნისტიის კანონპროექტი დაამტკიცოს პარლამენტმა, რათა ქვეყნისა და ხალხის დაყაჩაღებით მოპოვებული ქონება და ბიზნესები შეინარჩუნონ, ხოლო სხვა სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩამდენ ნაცჩინოვნიკებზე გამოძიებები შეწყდეს.

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენები რომ სააკაშვილის დაგეგმილი იყო, ამას დიდი ძიება არ სჭირდება. სააკაშვილმა და მისმა ბანდამ კარგად იცოდა, რომ ნაცრეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკებში ნაწამები ათასობით ადამიანი მათთან კითხვების დასმას და პროტესტის გამოხატვას მოინდომებდა, რაც შეხლა-შემოხლას აუცილებლად გამოიწვევდა, რის პროვოცირებაც მშვენივრად მოახერხეს უგულავას ზონდერებმა. ამის ფონზე დასავლეთის თვალში ივანიშვილის მთავრობის ანტიდემოკრატიულად წარმოჩენა, ხოლო ოპოზიციური ნაცპარტიის პოლიტიკური დევნის ობიექტად წარმოსახვა მომგებიანი უნდა ყოფილიყო ნაცებისთვის, მაგრამ საქართველოში არსებული რეალობა დასავლეთს უქრობს სურვილს, რომ საკუთარი პროექტის მუდმივი ადვოკატი იყოს.

დასავლეთმა უკვე კარგად იცის, რომ ქართველი ხალხისათვის საძულველი ნაცრეჟიმის მიკერძოებული დაცვის წყალობით საქართველოში მის მიმართ დადებითი განწყობები გეომეტრიული პროგრესიით მცირდება, რაც მათ გავლენებსა და გეოპოლიტიკურ მიზნებს ევროპაზიურ სივრცეში საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის. სავარაუდოდ, სწორედ ეს აუხსნეს იმავე საღამოს კიდევ ერთხელ სააკაშვილს დიპლომატიური არხებით და ამის გასაცნობიერებლად დასჭირდა მას დამატებით რამდენიმე საათი, რომ ახალ ხელისუფლებაზე შემტევი ტონი შეერბილებინა და კონფრონტაციულიდან კომპრომისული და გონიერი პოლიტიკოსის ნიღაბი მოერგო. თუმცა, ამ გამოსვლაში რამდენიმე ვირეშმაკული სახიფათო მესიჯი მაინც გააპარა, როცა ირაკლი ალასანიას გამოექომაგა და მისთვის ჩვეული ბინძური ლექსიკით განაცხადა, რომ, თურმე, მიუღებელია თავდაცვის მინისტრს რომ აწუწებენ და არ დაუშვებს მისი თანამდებობიდან განთავისუფლებას, რისი უფლებაც, სხვათა შორის, კონსტიტუციურად გააჩნია. ანუ, ალასანიას მიანიშნა, რომ თუ ივანიშვილს დაუპირისპირდები, ჩემი თანამდებობრივი მხარდაჭერის იმედი გქონდესო. აქედანაც კარგად ჩანს, თუ რაზეა წამსვლელი სააკაშვილი საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად. მარტო ამ გამჟღავნებული ჩანაფიქრისთვის არის მისაფურთხებელი სააკაშვილის პოლიტიკა.

ამავე დროს, არსებული არევდარევის ანალიზი, ვფიქრობ, სხვაგვარი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ივანიშვილის პოლიტიკურ ძალას ბევრჯერ აშკარად გამოუთქვამს სწორი მოსაზრება, რომ ნაციონალურ მოძრაობას საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობის გამო პოლიტიკური არსებობის უფლება არა აქვს და ხალხიც ამგვარ განწყობაზეა მის მიმართო. ივანიშვილი მზად არის, ახალი საპარლამენტო არჩევნებიც კი გაიმართოს, რომ ნაციონალები მისი შედეგებით საერთოდ აილაგმონ პოლიტიკური სივრციდან, მაგრამ, როცა ყველა ტუზი პრემიერ-მინისტრს უჭირავს ხელში, გაოცებას იწვევს ხელისუფლების მხრიდან დათმობების ხარჯზე ნაციონალებისგან პოლიტიკური დათმობების მოთხოვნა, მაშინ როცა ერთი დაკვრით შეიძლება მათი სრული ნეიტრალიზება.

იმავე დასავლეთისათვის ხომ ცხადი გახდა, რომ სააკაშვილის კონსტიტუციური უფლებები სახელისუფლო შტოებს შორის ხელისუფლების გადანაწილების აღიარებულ პრინციპებს არ ესადაგება და პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ უსაფუძვლოდ მთავრობის გადაყენება და ერთპიროვნულად მისი დანიშვნა, ასევე პარლამენტის დათხოვნა, არათუ დემოკრატიული, არამედ დიქტატორული რეჟიმებისათის არის დამახასიათებელი, რაც ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ბუკიკიომაც დაადასტურა. ასეთ ვითარებაში, თუ სააკაშვილი თავის პოლიტიკურ ხუშტურებს ვერ დაიოკებდა და მთავრობასა და პარლამენტს მაინც დაითხოვდა, კონსტიტუციის მე-5 მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც:

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება, მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე,

თავისუფლად შეიძლებოდა სააკაშვილის გადწყვეტილების სრული იგნორირება და თუ ნაცების ნარჩენები რაიმე ძალადობას გაბედავდნენ, მაშინ პოლიციისა და ჯარის კონტროლისა და ქართველი ხალხის მასობრივი მხარდაჭერის პირობებში, მათ მიმართ საბოლოო განაჩენიც გამოტანილი იქნებოდა, ხოლო თუ ვერ გაბედავდნენ ძალადობრივი ნაბიჯების გადაგმას, მაშინ რეფერენდუმის ან იმპიჩმენტის მექანიზმების გამოყენებით, რომლის საფუძველს ნაცრეჟიმის უმაღლეს ხელისუფალთა მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულებრივი ქმედება იძლევა, სააკაშვილის სრული ნეიტრალიზება დიდი სირთულე ნამდვილად არ იქნებოდა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ თავად სააკაშვილმა 2003 წელს შევარდნაძის დაჭაობებული მმართველობის წინააღმდეგ ხალხის უარყოფითი განწყობა გამოიყენა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული არჩევნების შედეგად პოლიტიკურად ყველაზე დაბალანსებული პარლამენტი ძალადობრივი მეთოდებით გარეკა, რამაც გზა გაუკვალა ძალაუფლების სრული მონოპოლიისაკენ.

ასე რომ, ამდენი დავიდარაბით, რასაც განუზომლად დიდი ენერგია და დრო მიაქვს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას უპირველესად ქვეყნის წინაშე არსებული უამრავი პრობლემის გადასაჭრელად, ფუჭად იხარჯება უსარგებლო კატა-თაგვობანას თამაშში, რომლის გაგრძელებაც, მინიმუმ, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე, ოქტომბრამდე გარანტირებულია. ამის დასტურია, თუნდაც ამ მართლაც ვადაგასული და ძალაუფლების უზურპატორი სააკაშვილის ბოლო გამოსვლაც, სადაც მთავრობის დათხოვნას არჩევნებიდან პირველ ხუთ-ექვს თვეში მიიჩნევს არამიზანშეწონილად, რითაც ივარაუდება, რომ შემდგომში, თუ შენიშნა, რომ დაპირებების შეუსრულებლობის გამო „ოცნების“ მიმართ ხალხში უარყოფითი განწყობა დაგროვდა, ამ უფლებას მაშინვე გამოიყენებს და ნაციონალების საძულველ მთავრობას კვლავ დაასვამს თავზე საქართველოს.

ამიტომ ნაციონალების მავნებლური და ზიანის მომტანი პოლიტიკის სრული იზოლაციისთვის უმჯობესია უფრო გადამჭრელი ღონისძიებების გატარება, რადგან მემატიანის მიერ შემონახული წმინდა დავით აღმაშენებლის დიდებული სიტყვების სიბრძნით, კუდი ძაღლისა არ განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს.

ჭეშმარიტად!..

გია თვალავაძე

◎ გამოძახილი

ერთი „ანალოგის“ გამო

„სრ“-ის 13 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძის წერილი „იდეოლოგიურად კოჰაბიტი“... (გვ. 5-6), საიდანაც მომვყავს აბზაცი, რომელმაც გამოხმაურება გადამაწყვეტინა.

„...ისევე, როგორც 1990 წლის პარლამენტმა (სადაც საქართველოს კომუნისტური პარტიის 45-წევრიანი ფრაქცია იყო (მე 64-წევრიანი მახსოვს – თ. ე.) და „კოჰაბიტაციის“ რეჟიმში ცდილობდნენ თანამშრომლობას ეროვნულ ხელისუფლებასთან), რომელმაც უფლებამოსილება შეუწყვიტა კომპარტიის ფრაქციას და დაატოვებინა პარლამენტი, დღესაც იგივე გადაწყვეტილებაა მისაღები!“ (სტილი ცოტა გაშალაშინებულია... – თ. ე.).

ავტორის აზრით, ამჟამინდელი საპარლამენტო უმცირესობა არ იმსახურებს პარლამენტის წევრობას. სავსებით ვიზიარებ ამგვარ პოზიციას და ვფიქრობ, თანამოაზრეც მრავალი გამოჩნდება თვალმისაწვდომ სივრცეში, ოღონდ საეჭვოდ მივიჩნევ ციტატაში გახმიანებული პარალელის მიზანშეწონილობას.

ჩემი ფიქრით, იგი სხვაა, აგი სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი! დიახ, სად 1990 წლის პარლამენტში საქართველოს კომპარტიის 64-წევრიანი ფრაქცია და სად 2012 წლის პარლამენტში ნაცთა 45-კაციანი ფრაქცია უმცირესობა-უმწირესობის სახით. იმ კომპარტიის ფრაქციაში ისეთი ღირსეული პარლამენტარები შედიოდნენ, როგორც, მაგალითად, აკადემიკოსები ნინო ჯავახიშვილი, ევგენი ხარაძე, რევაზ სალუქვაძე, გურამ ხარატიშვილი (სამწუხაროდ, განსვენებულნი) და ჯანმრთელად მყოფი მინდია სალუქვაძე იყვნენ. მე აქ მხოლოდ მეცნიერები ჩამოვთვალე და დანარჩენთა შორისაც რამდენი იყო ღირსეული კომუნისტი დეპუტატი, გულანთებული პატრიოტი, ქვეყნის ინტერესებზე მოფიქრალი და მზრუნველი! მათ დიახაც ხელეწიფებოდა მაშინდელ არჩევნებში გამარჯვებულ „ეროვნულებთან“ თანამშრომლობა, გინდაც, თანამედროვე გაგებით, „კოჰაბიტაციის“ რეჟიმში; და ეროვნულმა მოძრაობამ და პირადად მისმა ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან მარტო „კომუნისტობის“ გამო ფრაქციის გარიცხვით. ეს რომ არა, ვინ იცის, ქვეყნის ბედის ჩარხი მაშინ სულ სხვაგვარად დატრიალებულიყო. სხვებს რომ „თავი დავანებოთ“, მარტო ნინო ჯავახიშვილისა და ევგენი ხარაძისათვის არ უნდა ეკადრებინათ „ეროვნულებს“ პარლამენტიდან დათხოვნა, თუმცა იმ სხვებსაც რატომ უნდა შევეშვათ!.. დავწერე ეს და წამომაგონდა, რა კარგი სიტყვით გამოვიდა „ჟამსა დათხოვნისასა“ მინდია სალუქვაძე, როცა უშუალოდ ზვიად გამსახურდიასაც მიმართა ჩადენილი მძიმე და მცდარი აქტის თაობაზე...

ახლანდელი პარლამენტის ნაცმოური ფრაქციის წევრები რომ ისეთივე ქართველები და პატრიოტები იყვნენ, როგორც მაშინდელი კომპარტიული ფრაქციისა, რა უჭირდათ და რა გვიჭირდა!..

საერთოდ, რაკი დრონი მეფობენ, კონიუნქტურული და მოდური გახდა კომუნისტების განქიქება-გაქილიკება, ავადსახსენებლად მონათვლა. არადა, განა ყველა „ლოთი“ იყო და სიძულვილით დასაშანთი (ლადო ასათიანის გახსენებით)... ხომ ეკუთვნის მართლაც შესანიშნავ პოეტს შოთა ნიშნიანიძეს, ვერავინ რომ ვერ დასწამებს სამეფო კარის მეხოტბეობას, ალალი სტრიქონები „რომ კომუნისტის სახელი გვერქვას, ყველა როდი ვართ ღირსი!..“

...კიდევ ერთხელ ვამბობ – ვუერთდები ჯუმბერ კირვალიძის პუბლიკაციის პათოსს, ნაცები პარლამენტში კი არა, არსად არ უნდა გაჭაჭანო მათი ბელადიანა; ოღონდ ვემიჯნები ზემოხსენებულ „ისტორიულ“ წიაღსვლას, რომელთან დაკავშირებითაც ავტორთან „კოჰაბიტაციაში“ ვერ შევალ... არც არვინ მთხოვს.

თამაზ ეგანოიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დევნილები

„მერიაში გვითხრეს, გრძელი ფეხები გაქვთ, კარგადაც დარბისართ და შენობებში შეიჭერითო“

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ცალკეულ შენობებში სოციალურად დაუცველებისა და დევნილების შეჭრის ფაქტები გახშირდა. ადამიანები, რომლებიც არც საკაშვილის დროს ცხოვრობდნენ დალხენილად და რომელთა უბედურების მთავარი მიზეზი ყოფილი ხელისუფლება იყო, არც კი ფიქრობდნენ პროტესტის ასეთი სიხშირით გამოხატვას. დღეს კი, ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ ეს ადამიანები ვილაცისგან იმართებიან. For.ge-ს სანდო ინფორმაციით, შეჭრილი ადამიანების უკან მერიის, კონკრეტულად, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა დგას. როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, სწორედ ქაცარავამ მიუთითა ცალკეულ ადამიანებს შეჭრილიყვნენ ფართში, რადგან ყოფილ ხელისუფლებას აწყობს ამგვარი არეულობა.

შენობებში შეჭრა შემდეგი სქემით განხორციელდა — ადამიანები თავდაპირველად შეიჭრნენ რკინიგზის საავადმყოფოში და როგორც ამბობენ, ამ შევარდნას ხელმძღვანელობდა ვინმე კახა ოდიშელიძე. ასევე, ამავე შენობაში შეიჭრნენ ვინმე კუკავა და გველესიანი იმ მოტივით, თითქოს, ისინი უმწეოები იყვნენ. მოგვიანებით კი მათ პერმანენტულად ემატებოდა ხალხი. ყველამ მიაკითხა ჯანდაცვის სამინისტროს და ყველა წერდა განცხადებებს.

15 ნოემბრამდე შესული განცხადებები მართლაც შეისწავლა ჯანდაცვის სამინისტრომ, მთავრობაში შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია და გადაწყდა, რომ ვისი შემოსავალიც 193 ლარს ქვემოთ იყო და ვისაც სახლ-კარი არ ჰქონდა, ან არ ირიცხებოდა დევნილთა კატეგორიაში, მათ ბინის დასაქირავებლად 200 ლარი ექვსი თვის განმავლობაში მიეცემოდათ. რა თქმა უნდა, მთავრობის ამ შეთავაზების შემდეგ განცხადებების რაოდენობა გაიზარდა და იმატა იმ ადამიანთა რიცხვმაც, ვისაც დახმარება არ ეკუთვნოდა. **ამასთან, გაჩნდა ეჭვი, რომ ვინც ყველაზე მეტად აქტიურობდა, ისინი ან თაღლითები ან მართულები იყვნენ. მით უფრო, რომ რკინიგზაში შეჭრილებმა მაშინვე დაიწყეს მიშენებაზე ფიქრი და ადგილზე ქვიშა და ცემენტი მიიტანეს.** ამგვარად, რკინიგზის საავადმყოფოში შეჭრილ კახა ოდიშელიძეს ახალი წელი გიგი უგულავამ მიულოცა და შუქიც ჩაურთო, რაც შეუთანხმებელი იყო ეკონომიკის სამინისტროსთან, რომლის ბალანსზეცაა რკინიგზის საავადმყოფო. ამდენად, ვალი დაედო ეკონომიკის სამინისტროს.

კანონის თანახმად, თუ ადამიანი უსახლკარო და უმისამართოა, სოციალური დახმარების შესახებ კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს, მათთვის თავშესაფარი უზრუნველყოს. ეს „ბომჟებსაც“ ეხება და უსახლკაროებსაც. დღესდღეობით, სოციალურად დაუცველებს სოციალური შემწეობა ეძლევათ და 1 ივლისიდან გაორმაგებულ დახმარებას მიიღებენ, კერძოდ, ოჯახის პირველ წევრზე 30 ლარის ნაცვლად — 60 ლარს, შესაბამისად, გაიზრდება დახმარება ყოველ მომდევნო წევრზეც.

თუმცა, ფართებში შეჭრილ ადამიანებს შორის ბევრია ისეთი, რომელთაც ბინა ნამდვილად აქვთ, მათ რეალური მისამართიც აქვთ, რადგან 1 ოქტომბრამდე, ცხადია, ისინი სადღაც ცხოვრობდნენ. ამ დროს კი ისინი ამბობენ, თითქოს, სახლ-კარი არ აქვთ, პერმანენტულად იფიცებიან, ხან ბიძინა ივანიშვილის სახლთან მიდიან, ხანაც ჯანდაცვის სამინისტროსთან აქციებს აწყობენ. თანაც, საეჭვოდ, ყოველთვის „რუსთავი 2“ იგებს მათი შეჭრის ამბავს. ამას კი ერთმანეთის ჩაშვება მოჰყვება.

ჩვენი წყარო აცხადებს, რომ ამ ადამიანებმა ასე ჩაუშვეს 1957 წელს დაბადებული დარეჯან გველესიანი. ეს ქალბატონი პერიოდულად პროტესტის მიზნით პირს იკერავს და როგორც ამბობენ, ამ მეთოდით შოულობს ბინებს. რეალურად, მას სამი შვილი ჰყავს. ქმარი ცხოვრობს ზესტაფონის რაიონში. შვილები თბილისში ცხოვრობენ და სამივე დაბინავებულია. გველესიანი ინდივიდუალური მეწარმეა, „საბაზე“ ვაჭრობს და მის ოჯახს ავეჯის ქარხანა აქვს. თვითონ დარეჯან გველესიანს ქუთაისში ბინა აქვს იპოთეკით დატვირთული. ამჟამად, იგი რკინიგზის საავადმყოფოშია შეჭრილი. ამავდროულად, არის ბენეფიციართა სიაშიც და ორას ლარსაც იღებს. მის შესახებ კი სპეციალურადაა მითითებული, თითქოს, ის მისამართის გარეშეა.

ერთ-ერთმა შეჭრილმა კახა ოდიშელიძემ, გავრცელებული ინფორმაციით, ბინა კაზინოში წააგო და სანამ რკინიგზაში შეიჭრებოდა, მანამდე მეუღლეს გაეყარა, რომ ცალკე დაეფიქსირებინა თავი.

ასევე, სხვის ფართში შეჭრილი 1936 წელს დაბადებული ნათელა შონია გულრიფშიდანაა. იგი ბაქოს ქუჩაზე ცხოვრობდა და ვინმე მარიამ ლიპირიდისთვის აქვს ქონება დაყადაღებული. უფრო ზუსტად, სხვისი ბინა ჰქონდა დაგირავებული მუხიანში 2012 წლის 23 აგვისტოს.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს ადამიანები მათ მიერ ძალით დაკავებულ ადგილებზე არ ცხოვრობენ, ან ამ ფართებს სხვებზე აქირავებენ. ამჟამად მათ საქმეს ჯანდაცვის სამინისტროს გენინსპექცია სწავლობს.

For.ge სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, ინვალიდი შვილის დედას მაია ინასარიძეს ესაუბრა, რომელმაც დაადასტურა, რომ შეჭრილი ადამიანების ნაწილი მართულია.

— ამ შეჭრების ორგანიზებას მერია ახდენს. ჩვენ ვექვემდებარებოდით მერიის მიერ სოციალურად დაუცველებისთვის შედგენილ ხისტ კრიტერიუმებს. ამის გამო დახმარების სათხოვნელად მივდიოდით მამრიკიშვილთან (მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას მოადგილე), ასევე — მამუკა ქაცარავასთან. ამჟამად ვცხოვრობ დიდი დიღმის მესამე მიკრორაიონში მდებარე კორპუსში, რომელიც შვეიცარიის საქველმოქმედო სააგენტომ სპეციალურად სოციალურად დაუცველებისთვის ააშენა. შვეიცარიას მერიასთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი და აღნიშნული ფართები სწორედ მერიამ უნდა გაანაწილოს. ინვალიდი შვილის პატრონი ვარ და, პირველ რიგში, ბინით მე უნდა დავკმაყოფილებულიყავი. ერთხელაც ვხედავ, ტელევიზიით გამოდის ქალბატონი, რომელსაც ცერებრალური დამბლის დიაგნოზით ცხრა წლის შვილი ჰყავს. მაშინ აჩვენეს ეს საცხოვრისი დიდ დიღომში, სადაც ხალხი იყო შემოჭრილი, მაშინვე წამოვედი და აქ უკვე მობილიზებული პოლიცია დამხდა, რომელიც შემოჭრილი პირების დაკითხვას აწარმოებდა. მაშინ პოლიციამ არ შემომიშვა, არადა, ვთხოვე, შევეშვი, რადგან საბუთები ხელზე მქონდა. ისიც ვუთხარი, კაცმა არ იცის, შეიძლება, ეს ადამიანები ვერ აკმაყოფილებენ იმ კრიტერიუმებს, რაც მერიამ გამოაქვეყნა და მე ფართის გარეშე არ დამტოვოთ-თქო, რადგან ინვალიდი შვილი მყავს-თქო. თუმცა, არაფრით შემიშვა პოლიციამ და ჩვენების მიცემა მომთხოვა. წავედი მერიაში და მივეცი ჩვენება. მოგვიანებით პოლიციამ მითხრა, შეჭრილი ხალხი უკვე გამოვიყვანეთ და თქვენც სახლში მიბრძანდითო. წამოვედი, თუმცა ვიფიქრე, უნდა შევამოწმო-თქო, რატომღაც ეჭვი შემეპარა, ეს ხალხი გამოყვანილი იყო თუ არა. მივედი დილით და ვხედავ, ეს ხალხი ისევ აქ არის, ავდექი და მეც შემოვედი და დავიკავე ოროთახიანი ბინა. სულ რვა ოჯახი ვიყავით, მოვიკითხე, მაჩვენეთ თქვენი საბუთები, რის საფუძველზეც აღნიშნულ შენობაში შემოიჭერით-მეთქი, ზოგიერთი მათგანი ნაციონალური პარტიის წარმომადგენელი აღმოჩნდა.

— ფიქრობთ, ისინი ნაციონალებისგან მართულები იყვნენ?

— ნამდვილად მართულები იყვნენ. როცა შემოიჭრნენ, განაცხადეს, ჩვენ მამუკა ქაცარავასთან ვიყავით და ასე გვითხრა, ფეხები გრძელი გაქვთ, სირბილიც კარგად შეგიძლიათ და შეიჭერითო.

For.ge ვაკე-საბურთალოს გამგეობის ცხელ ხაზზე რეკავდა, რათა ამ ადამიანებისთვის დენი ჩაერთოთ, მაგრამ, ალბათ, იმის გამო, რომ შაბათი დღე იყო, არავინ გვიპასუხა. თუმცა, ამ ადამიანების დახმარება მერიის პრესსამსახურსაც ვთხოვეთ.

For.ge რკინიგზის საავადმყოფოში შეჭრილ დარეჯან გველესიანსაც ესაუბრა. იგი აცხადებს, რომ ამჟამად რკინიგზის საავადმყოფოს შენობაშია შეხიზნული და სხვა ადამიანებთან ერთად, გაუსაძლის მდგომარეობაშია. მის მსგავსად, ამ ფართში სხვა გაჭირვებულებიც არიან, ზოგიერთ მათგანს სოციალურად დაუცველი ინვალიდი შვილი ჰყავს, ზოგიც მრავალშვილიანი და უსახლკარო. ამდენი ხნის მანძილზე ისინი პასუხს ელოდნენ მერიისგან, მაგრამ — ამაოდ. მერიამ მათ ყურადღება არ მიაქცია. ამდენად, დარეჯან გველესიანს ახალი მთავრობის იმედი აქვს და ფართს მოითხოვს.

როცა დავინტერესდით, რატომ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს, იგი უსახლკარო არ არის და ამ სტატუსის მოპოვებას ცდილობს, დარეჯან გველესიანმა გვითხრა, რომ სიმართლეს გენერალური ინსპექცია დაადგენს, რის შემდეგაც უსახლკაროები შესაბამის ფართს მიიღებენ. ამ ეტაპზე კი ისინი დროებით ფართში იმყოფებიან, თუმცა მომავალში მუდმივ ფართს ელიან.

მარიამ ლოლაშვილი

◎ მომხდარის ადევნებით

ყოველდღიური გოკა, „მოტირადე“ ბოსი და ცრემლებმდინარე ირემი...

კობა და სერგო (ალფაბეტის რიგზე) შაიბნენ, ეს ერთი, ტელესტუდიას რომ გაჰქონდა გრიალი, ეს მეორე; მესამე? მესამე ისაა, რომ ნატა გებელსმა, გოკამ, არც ეს მომენტი გაუშვა, დაშავებული რატიანი გვერდით დაიყენა და ნაცური ტრიბუნიდან უმალ განაზოგადა ეკრანული ინციდენტი მშობლიური პარტიის სასარგებლოდ.

არადა, გავიხსენოთ, ნატა მუჰამედ ალიმ (ჯო ლუისი უფრო შორეული ნამყოა), აკუმ (ბობოხიძემ, რადგან მგონი აკუ სხვაც გვყავს და საერთოდ, პარლამენტში აკუების მთელი პლეადაა...), „გაქანებულ“ სხდომაზე როგორ სთხლიშა ყბაში მიკროფონის წიაღ მიმდგარ პეტრე მამრაძეს. მაშინ რატომ არ აბობოქრდი, გოკა, რატომ „დაზარალებული“ პეტრეც არ ამოიყენე გვერდით მორიგ ჯერზე ასალაყაფებლად და დაჩაგრულის გამოსასარჩლებლად?..

ეხ, დიდ ნაცო, ძვირფასო გოკა, არ მესმის შენი, გინდაც რომ მომკლა... თუმცა ეკრანიდან გასაშვებადაც არ მემეტები, შე არგასაშვებო, ისე მივეჩვიე შენს „დღეს და ყოველდღეობას“...

ჩიორა, ნაცთა ჟანა დ'არკი რომ დაასისხლიანეს 8 თებერვალს, ეს ერთი; ქალს, მით უფრო ყველაზე დიდ პარტიულ აღმოჩენას, ხელი რომ არ უნდა დაარტყა, ეს მეორე: მესამე? მესამე ისაა, რომ თბილისში ჩამობრძანებულმა ევროპელმა მაღალპარტიულმა ბოსმა შინ მოინახულა გაქათქათებულ ლოგინში მისვენებულ-მინაზებული, „მომჯობინებადი“ დაშავებული და მთელი ტირადა მოგვასმინა პოლიტიკური ზნეობის ნორმებზე (თითქოს პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს ზნეობა...).

ეგ ჰო, მაგრამ ჩვენო მეგობარო დასავლელო პოლიტიკურო ძიებო, იმ 26 მაისს რად არ გვეწვიეთ იმავ თბილისში და არ უთანაგრძნეთს რომელიმეს არცთუ მცირერიცხოვან დასახიჩრებულთაგანს და კიდევ მეტი, — არ მიუსამძიმრეთ რომელიმე დაღუპულის ოჯახს? რეისები იყო გადადებული?..

„დაჭრილ ირემს ცრემლები სდის, ნუკრი ცქრიალებს, რა ვუყოთ, რომ ეს ცხოვრება (პოლიტიკურიც!..) ასე ტრიალებს“ — ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ლექსია (ჰამლეტი „ჰამლეტიდან“, ივანე მაჩაბლის თარგმანი)...

ბერდია ბედოიძე

◎ ინფორმაცია

კაკაბაძე პროკურორ ნაცებს პროკურატურაში უჩივის

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები 8 თებერვალს, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებში მონაწილე კონკრეტული დამნაშავეების დასჯას მოითხოვენ. ამასთან დაკავშირებით, პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე პირების სახელით განცხადება მთავარ პროკურატურაში ნანა კაკაბაძემ შეიტანა. მისი თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადაცემული ჰქონდა 9-კაციანი სია, რომლებსაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრეზიდენტის მოსმენა და მისთვის შეკითხვების დასმა სურდათ. კაკაბაძის განცხადებით, არც პრეზიდენტის პრესსპიკერ მანანა მანჯგალაძისგან და არც პრესმდივან ნათია ბანძელაძისგან პასუხი არ მიუღიათ.

— მშვიდობიან მომიტინგეებს თავს დაესხნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, შექმნეს დებოში, გინება, იწვევდნენ ისედაც გამწარებულ საზოგადოებას. იმის მაგივრად, რომ იქით მომხდარიყო ადამიანების დაკავება, მოხდა ისე, რომ ამითაც ყოფილმა ხელისუფლებამ ისარგებლა და ყოფილ პოლიტპატიმრებს დასწამა ცილი და ისინი კრიმინალებად მოიხსენია, — აღნიშნა კაკაბაძემ.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეების პროვოცირება გიგი უგულავამ და ჩიორა თაქთაქიშვილმა მოახდინეს. განცხადებას კბილაშვილის სახელზე, რომელიც მთავარ პროკურატურაში შეიტანეს, ხელს აწერს 185 პოლიტპატიმარი.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №202

„ყველა მართალია თავისი ხედვის სიმართლით“ — წერდა ჯანრი კაშია ისტორიული, ობიექტური და აზრისმიერი კანონზომიერების გარკვევის მცდელობით... წერდა დღეს, ღირებულებათა სისტემის სერიოზული კრიზისის პერიოდში.

თემა „ნაციონალიზმი ჩვენში და სხვაგან“, რის შესახებაც ჯანრი კაშიას საუბარს „კვირაძალის საკითხავის“ წინა ნომერში შეგებირდით, ვფიქრობთ, უფრო და უფრო აქტუალური ხდება (ჩვენი საუბარი ჩაწერილია 2004 წლის ოქტომბერში).

„ნაციონალიზმი — ეს კარგი სიტყვაა — ოდესღაც სრულიად მოულოდნელად წარმოთქვა ქართველ მწერალთა ყრილობაზე, კათედრაზე ასულმა, მხრებში ოდნავ მოხრილმა პავლე ინგოროყვამ — ნაციონალიზმი პატარა ერებისთვის თავდაცვის საშუალებაა“...

ნაციონალიზმი ჩვენში და სხვაგან

— ბატონო ჯანრი, თქვენ, როცა ფრანგულ ნაციონალიზმზე წერდით, ქართულ ნაციონალიზმთან ავლებდით პარალელებს...

— ფრანგულ ნაციონალიზმს აქვს კოლონიზატორის კომპლექსები, ჩვენ კი — დაპყრობილის კომპლექსი. ეს არსებითი განსხვავებაა.

საერთოდ კი, იმპერია სხვა არის და იმპერიალიზმი სხვა. ჩვენ კარგად ვგრძნობდით თავს იმპერიაში, ყველანაირ იმპერიაში და, როცა ჩვენ თვითონ შევქმენით იმპერია, სხვებიც კარგად გრძნობდნენ თავს იქ. ჩვენ არასოდეს ვერჩოდით სხვას. „ქართლის ცხოვრებაში“ ვერ ნახავთ ერთ სიტყვასაც კი ვინმეს წინააღმდეგ ნათქვამს. ე. ი. ჩვენ სხვა ერის, სხვა ხალხის დამცრობა არანაირად არ გვახასიათებს. ეს ჩვენს ბუნებაში არ არის. გავიხსენოთ „ვეფხვი და მოყმე“, გავიხსენოთ ყივჩაღის მაგალითი... ეს არაჩვეულებრივი თვისებაა, რომელსაც საგანგებოდ უნდა შესწავლა და გამოკვლევა იმიტომ კი არა, რომ ვიყოყლოჩინოთ, არამედ ამის მიზეზი გავიგოთ...

ფრანგული ნაციონალიზმი წარმოიშვა მარცხის შედეგად. ნაციონალიზმი საერთოდ მარცხის შემდგომი მოვლენაა, ძირითადად დამარცხებული ომების შემდგომი.

ქართული ნაციონალიზმი წარმოიშვა XIX საუკუნეში ილიასთან ერთად და გააზრებაც ილიას მსოფლმხედველობით მოხდა. როდესაც ილიამ ქართულად გადათარგმნა რენანის ჩვენთვის ცნობილი სიტყვა, ნაციის მნიშვნელობით იხმარა ერი. ეროვნული იდეოლოგიაც ამ ნიშნით ააგო...

გერმანელებთან წაგებული ომის შემდეგ წარმოქმნილი ფრანგული ნაციონალიზმი მარცხის კომპლექსს ატარებს და სულ ამ ხაზზეა აგებული. ისინი ცდილობენ, რომ დაამცირონ ვიღაც სხვა და ამით თავისი თავი გააძლიერონ. პარადოქსამდე მიდის ხოლმე ეს ყველაფერი... არადა, ასეთი დიდი კულტურის ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია, უნდა ხვდებოდეს, რომ სხვისი დამცრობა თავად არ აღგამაღლებს...

საფრანგეთის რევოლუციაც ნაციონალიზმის ნიშანს ატარებს.

საქართველოში, ფაქტობრივად, რევოლუცია არ ყოფილა. რევოლუცია ქართველების იდეოლოგია არ იყო. უბრალოდ, მოვიდნენ გარედან და გაულიტეს ქართველები რაღაც იდეოლოგიური პრინციპის გამო. ჩვენ შიგნიდან რევოლუცია არასოდეს გვინდოდა.

რაც მოხდა, ძალმომრეობა იყო გარედან. საქართველოში სინამდვილეში გლეხთა მოძრაობაც არ არსებობდა. ეს არის მოგონილი საბჭოთა იდეოლოგიური ისტორიოგრაფიის მიერ.

არავითარი კლასობრივი ბრძოლა საქართველოში არ ყოფილა იმიტომ, რომ წყვილი — არისტოკრატია და გლეხები — ერთად მოსპეს.

— ქართველებს უყვარდათ თავიანთი მეფეები. არსებობდა სრულიად უნიკალური ძიძიშვილობის ინსტიტუტიც...

— საერთოდ, მასების მოძრაობაში, თუნდაც დღეს, გლობალიზაციის სფეროში, აბობოქრებული უმრავლესობის ინტერესების თანხვედრა ხდება გაცილებით უფრო სხვა სფეროებში, ვიდრე ნაციონალურში.

„ევროპულ სახელმწიფოთა ევროპულობით არსებობის კიდევ ყოველი მათგანის ეროვნული განსაკუთრებულობა, რომელიც არათუ უშლის ხელს, არამედ კიდეც ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს „ევროპულობას“.

ნაციის ცნება, რომელიც ილიამ „ერად“ თარგმნა, ახალი ტერმინია და არ თანხვდება იმას, რასაც ჩვენ ერს ვუწოდებდით XII საუკუნეში ან თუნდაც ფარნავაზის დროს, როცა ენის ცნება თანხვდებოდა ერის ცნებას. როდესაც ენა არის საერთოდ სახელმწიფოებრივი ქოლგა, რომელიც გადაფარებულია სახელმწიფოზე მთლიანად, ნიშნავს, რომ ეს ენა გახდა სახელმწიფო ენა. „განავრცო ენა ქართული“... რომ ეს არ არის ეთნოსის ენა, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივია. საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ნაციის ცნება ემთხვევა მოქალაქის ცნებას, გახდა პოლიტიზებული. ადრე თუ კულტურული ასპექტები ჰქონდა, ახლა პოლიტიკური შეიძინა. პოლიტიკის საზღვრებში კი შეუძლებელია დიფერენცირება. წარმოშობით დიფერენცირება თუ სისხლით ნათესაობით... ამიტომ როგორც კი გერმანელებმა შემოიღეს სისხლით ნათესაობა, მაშინვე ნაციონალიზმის ახალი გაგება წარმოიშვა...

ისე კი, ზუსტი ქართული თარგმანი ნაციონალიზმისა, არის ეროვნულიზმი.

ასრებობს შოვინიზმიც, რომელიც სიძულვილის კატეგორიაში გაიაზრება.

ნაციონალიზმის პოზიტიური მხარე არის ის, რომ შენ გსურს შენივე ქვეყანა ააშენო...

რუსული ნაციონალიზმი ჩანასახში გამოიკვეთა, „სლავოფილებისა“ და „ზაპადნიკების“ მიერ საკუთარი ნაციონალური იდენტურობის გამოკვლევის „სლავოფილებისა“ და „ზაპადნიკების“ მიერ საკუთარი ნაციონალური იდენტურობის გამოკვეთის ცდებში, სადაც მკვეთრი გადახრა მოხდა. „სლავოფილობამ“ თავის თავს ვერ გაუძლო, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი მოძრაობა იყო, მაგრამ მხოლოდ ინტელიგენციით შემოსაზღვრული.

რუსებს საკუთარი ქვეყნის აშენებისა და მოწყობის ნაცვლად, სხვათა ქვეყნების დაპყრობის სურვილი აღმოაჩნდათ. თვითშეგნება, რომ არიან თავიანთი მიწის პატრონები, მათ არა აქვთ, იმიტომ, რომ საუკუნეების მანძილზე გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეში. შესანიშნავ ისტორიკოსს კრიუჩევსკის უწერია, **ჩვენი პრობლემები გეოგრაფიულიაო**. როცა მაღლა, ტყეში ვიყავით, გამალებით ვთესავდით, როცა ქვევით, შავნიადაგიან მიწაზე ჩამოვედით, ტყეების ჩეხვა დავიწყეთო...

ე. ი. აცდენილები არიან რაღაცას. ამას, ალბათ, ისტორიული ახსნაც აქვს. ამიტომ თავის ადგილს რომ ვერ აწყობენ, მისწრაფებულნი არიან ტერიტორიებისკენ. მთლიანობაში რუსი საუკუნეების მანძილზე გარკვეულად ევროპული განვითარების სახელმწიფო იყო... მოსკოვში გადასვლამ და მოსკოვის დაფუძნებამ გამოიწვია ეს ტეხილი, რომლის იქით უკვე ევროპა არის, აქეთ კი რაღაც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფორმა, რომელმაც არ იცის აზია არის თუ ევროპა, თუ თვითონაა, თავისთავია თუ ვინ არის... ამიტომ იქ, სადაც არის, ვერ ჩერდება.

დაავკირდით, საქართველოს, სადაც არის, 23 საუკუნე ერთ საზღვარშია. **რუსეთს კი თავისი საზღვარი არა აქვს, ვერ ადგენს, სად არის მისი ტერიტორიის დასასრული...** ევროპაში მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის იყო ზღვა. ამიტომ ზღვის გადალახვა იწვევდა უკვე ორ სხვადასხვა სივრცეში ან მსოფლხატში არსებობას. ამიტომ მთავარი ასაშენებელი იყო მეტროპოლია, რუსეთს კი ეს საზღვარო რომ არა აქვს, ეს ტეხილი სხვისა და მას შორის, ამიტომ ყველაფერი, რასაც მოედო, თავისად ჩათვალა... ეს იმიტომ, რომ სინამდვილეში თავისი რა არის, არ იცის. ეს შესასწავლი საკითხია.

საქართველო ძალიან მკვეთრად მოხაზულია. **აქ არის ფორმა, რომელიც მოცემული გვაქვს.** აქ, ამ პირობებში, ნაციონალიზმი არის მართლაც ეტაპობრივი თვითგაცნობიერება, პოზიტიური და არა ნეგატიური ნიშნით, რომელიც თავის თავზე ფიქრობს, როგორც ღირებულებაზე. დაე, სხვამ თავის თავზე იფიქროს, როგორც ღირებულებამ. ნაციონალიზმი საერთოდ „მიმღებია“. ვაჟა-ფშაველა იყო ნაციონალისტი, ილია ჭავჭავაძეც. **ეს მიმღეობა არის ნიშანი იმისა, რომ მე, კი ბატონო, პირადად კულტურის მიმართ მთლიანად გახსნილი ვარ, მაგრამ ეს კულტურა უნდა გადმოვიდეს ჩემთან, შემერწყას მე.** ასე შეირწყა ყივჩაღები ქართულმა სინამდვილემ...

ეს არის თემა, რითაც ჩვენ საუბარი დავიწყეთ: რაც მოგაქვს გარედან, ის ყველაფერი უნდა შეერწყას შენსას.

არაერთმნიშვნელოვანია **ჯანრი კაშიას** განმარტებაც: „ფასეულობის განმსაზღვრელ-დამდგენელი ცხოვრებაში არის შეხვედრა. არსებობა ფაქტობრივად შეხვედრათა ფორმით იძენს საზრისს.

შეხვედრა, ქართული სიტყვის სიღრმითი მნიშვნელობით, ხვედრის, წილის, ბედის თანაზიარობაა... ხოლო თუ ეს შეხვედრა არ შედგა, რა საზრისი უნდა შეიძინოს არსებობამ, ან კი ვის სჭირდება ასეთი არსებობა?..

ესაუბრა
ნინო ხოფერია

ჯანრი კაშია მეუღლე სალომე ზურაბიშვილსა და სიდედრ ზეინაბ კედიასთან ერთად

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com


სოფ. არბოს ეკლესია ქართული და რუსული გუმბათით

ეკლესია ქართული და რუსული გუმბათით...

„კვირაძალს საკითხავის“ 2013 წლის 5 იანვრის ნომერში დაიბეჭდა მწერლის და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის პირდაპირი შთამომავლის ქალბატონ **ირინე ფურცელაძის** საუბრები (კორექტურული შეცდომით ირინე ქარსელაძე). ვასწორებთ ამ უზუსტობას და ქალბატონ ირინეს კიდევ ერთ მოგონებას შემოგთავაზებთ, არაორდინარული ძეგლის შესახებ სოფელ არბოში.

ირინე ფურცელაძე: ძვირფასი რელიკვია იყო ჩემთვის სოფელ არბოს სახლი,რომელიც ანტონ ფურცელაძემ 1899 წელს ააშენა,ლამაზი ბუხრებით, დიდი აივნებით...

სახლთან ახლოს არის წმინდა გიორგის ეკლესია მე-19 საუკუნის ძეგლი. როდესაც ეკლესიას პირველად შევხედე, გავოცდი: ნახევარი გუმბათი რუსული იყო,ნახევარი ქართული.მე მაშინ მინისტრთა საბჭოში ვმუშაობდი რედაქტორად და ძალიან ბევრი წერილი დავწერე. ყველას მივმართავდი თხოვნით, მიეხედათ ამ ეკლესიისთვის. მართლაც, ერთ-ორ წელიწადში ძეგლთა დაცვის სამსახურმა ეკლესიას ახალი, მთლიანი გუმბათი დაადგა.

ეკლესიის ერთ კედელზე ამოტვიფრულია ხარის თავი და დანა.არბოს მკვიდრმა, მხცოვანმა მოხუცმა ასეთი ლეგენდასავით ამბავი მიამბო:სოფლიდან შორს, მთაში არის გერის წმინდა გიორგის ეკლესია,სადაც სალოცავად დღემდე დაიარებიან ახლომახლო სოფლებიდან ადამიანები და ამ დღესასწაულს აღნიშნავენ. ერთ დღეს,როცა ხალხი იმ ეკლესიაში სალოცავად ასულა, შესაწირად გამიზნული ხარი წამოუქცევიათ. ყელში დანაგარჭობილი ხარი უცებ წამომხტარა, გაქცეულა, ამხელა გზა გამოურბენია და ზუსტად ამ ადგილას, არბოში დაცემულა მკვდარი. ამიტომ სწორედ აქ აუშენებიათ ეკლესია...არ ვიცი, რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს,მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ეკლესიის კედელზე ხარის თავი და დანაა ამოტვიფრული...

„მადლობა იმათ, ვინც მისმენს“...

ხმა ადამიანის შინაგანი სამყაროს მახასიათებელია. ჩვენ ვცხოვრობთ, სხვადასხვაგვარი ხმების გარემოცვაში. მნიშვნელოვანი თუ არა მარტო რა (ანუ რა ინფორმაციას გვაწვდის პიროვნება), არამედ როგორ.


ირაკლი რობაქიძე

დღევანდელი საზოგადოება მთლიანად ჩართულია სატელევიზიო სივრცეში, საუბრობს სატელევიზიო ტერმინოლოგიით. თანამედროვე ადამიანის მსოფლმხდველობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ტელეჟურნალისტების მეტყველებასა და კულტურაზე.

ჩვენ ვესაუბრეთ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულონების“ თანამშრომელს, რომლის ხმაც გამუდმებით ისმის ამ ეთერში. ხმა – გარემოების მიხედვით, ინფორმაციულიც და მხატვრულიც (არტისტულიც).

ირაკლი რობაქიძე – რეჟისორი გადაცემისა „გზა, რომლითაც ვიარე“... გამხმოვანებელი და საერთოდ, ადამიანი, რომელიც ძალიან ჭირდება ამ კონკრეტული არხის სპეციფიკას.

– გრიგოლ რობაქიძესთან ნათესაური კავშირი გაქვთ?

– ნათესაური კავშირი მართლაც მაქვს, მე ვარ მიძაშვილიშვილი. გრიგოლს ჰყავს დისშვილები, რომლებიც რობაქიძეები არ არიან.

– თქვენ ახმოვანებთ სატელევიზიო ტექსტებს, მაგრამ ეკრანზე არ ჩანხართ? თავიდანაც კადრს გარეთ დაიწყეთ?

– მე ჯერ რადიოში მივედი. გახმოვანების გამოცდილება არ მქონდა, ეს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა, მოეწონათ და ყველაფერი აქიდან დაიწყო. შემდეგ მოვხვდი ჩვენს ტელევიზიაში. დაჭირდათ ხმა და გავახმოვანე.

– გახმოვანებულ ტექსტებს თქვენ ირჩევთ თუ სხვები გთავაზობენ? ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ზოგი მეტ-ნაკლებად საინტერესოა, ზოგიც არა...

– მე ვკითხულობ იმას, რასაც გვთავაზობენ თემატურად. ეს ტელევიზია მრავალმხრივ საინტერესოა და სულიერებასთანაა კავშირში. ჩემი არჩეული არ გახლავთ ტექსტები. გეთანხმებით ზოგჯერ ის არის ყალბი... მთელი ამ საქმის შინაარსს იქითკენ მივყავარ, რომ დამაჯერებლობა მისცე. არაერთხელ შემიტანია შესწორება...

– თქვენი აზრით, რას გამოხატავს ადამიანის ხმა?

– ყველაფერს გამოხატავს. მთელ პიროვნულობას. ჩემთვის მთავარი და გადამწყვეტი არის არა ის, რას ლაპარაკობს ადამიანი, არამედ ვინ ლაპარაკობს და როგორ ლაპარაკობს... ნებისმიერი ტექსტის მორგება შეიძლება, თუკი პიროვნულობას შეიტანს ადამიანი ტექსტობრივ ქსოვილიში.

– რა გიშლით ხელს მუშაობაში?

– ერთადერთი, რაც ხელს მიშლის, ეს ტექნიკური მომენტია ან ხმაური. სხვა ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს.

– როგორ სატელევიზიო სივრცეს ისურვებდით?

– ვისურვებდი ისეთს, რომელიც იქნებოდა გათვლილი მომზადებულ, კონკრენტულ აუდიტორიაზე, როდესაც პროდუქტი (ამ შემთხვევაში ტელეპროდუქტი) საინტერესოა, მაშინ აქვს მუშაობასაც აზრი. თუ აუდიტორია გყავს, შენი მუშაობა ამაოდ არ ჩაივლის, ანუ მხოლოდ მაშინ არის შედეგის მომცემი... მაგრამ „შედეგიც“ ხომ მრავალისმომცველი სიტყვაა... გააჩნია, რა შედეგებზე ვართ ორიენტირებული... ყველა შემთხვევაში, მადლობა მათ, ვინც მისმენს...

ლალი ჭიტაძე.

◎ ფოტოები

ეეუბინია, ეეუბინია!

თითოეულ ჩვენგანს სხვადასხვა შიში აქვს, რომელსაც ზოგჯერ არც კი აღვიქვამთ, მაგრამ ზოგიც ისეთია, რომ თითით საჩვენებელს გვხდის. ამ მხრივ, ცხადია, არც დიდი ადამიანები წარმოადგენენ გამონაკლისს, რომლებსაც ხშირად საკმაოდ უცნაური შიშები აქვთ.

სალვადორ დალი

ამ ისედაც უცნაურობით გამორჩეულ დიდ მხატვარს პანიკურად ეშინოდა... კალიების! „ხრამის პირას რომ ვიყო და კალია შემომახტეს, მასთან შეხებას მირჩევნია უფსკრულში გადავხტე!“ – წერდა დალი. ამ „საზარელ არსებასთან“ შეხვედრის შიშით იგი მუდამ გაურბოდა ბუნებაში გასვლას. „ამ მწვანე ურჩხულის მძიმე, მოუქნელი ხტუნვა მაშეშებს, – წერს მხატვარი თავის წიგნში „საიდუმლო ცხოვრება“. – საზიზღარი ქმნილებაა! მთელი ცხოვრების მანძილზე ავი ზმანებასავით დამდევს, ფსიქიკას მინადგურებს, ჭკუიდან მრყევს!“.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ცნობილ ადამიანებში მწერების, განსაკუთრებით კი ობობების შიში, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. მათი, კერძოდ, პანიკურად ეშინიათ ჰოლივუდის ვარსკვლავებს ბრედ პიტს, ტომ კრუზს, სკარლეტ იოჰანსონსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცნობილი კინოფილმის „ადამიანობობას“ მთავარი როლის შემსრულებელ ტომი მაგუაიერსაც კი!

ნიკოლაი გოგოლი

„მკვდარი სულების“ ავტორს პანიკურად ეშინოდა... ცოცხლად დამარხვისა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამის გარკვეული საფუძველიც ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდობაში გოგოლმა მალარიული ენცეფალიტი გადაიტანა, რის შედეგად მთელი ცხოვრების მანძილზე გული მისდიოდა, რის შემდეგ ღრმა ძილით იძინებდა ხოლმე. ამის გამო იყო, რომ მუდამ იმის შიში ჰქონდა, რომ ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს იგი შესაძლოა, მკვდარი ეგონოთ და ცოცხლად დამარხონ. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი იმდენად შეშინებული იყო, რომ ლოგინში დაწოლას ერიდებოდა და მჯდომარე იძინებდა, რათა უფრო ფხიზლად სძინებოდა.

სხვათა შორის, გოგოლის გარდა ცოცხლად დამარხვისა ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტს ჯორჯ ვაშინგტონსაც ეშინოდა, რომელიც ახლობლებს მუდამ ახსენებდა, რომ იგი გარდაცვალებიდან ორ დღეზე ადრე არ დაეკრძალათ.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

მას ინფექციისა ეშინოდა, ამიტომ ხელს არასდროს ჰკიდებდა კარის სახელურებს და მუდამ ხელთათმანებს ატარებდა. სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან სასაპნე, იოდი და რამდენიმე სუფთა ცხვირსახოცი დაჰქონდა. ასევე ეშინოდა ინფექციისა პოპ-მუსიკის მეფეს მაიკლ ჯექსონს, იგივე ფობია სჭირდა ადოლფ ჰიტლერს, რომელიც აბაზანას დღეში რამდენჯერმე იღებდა და პანიკურად ეშინოდა სურდოშეყრილი ხალხისა.

სტივენ კინგი

საშინელებათა მეფედ წოდებულ მწერალს საოცრად ეშინია შავი კატების, თვითმფრინავით ფრენისა და ციფრი ცამეტის. როცა მუშაობს, იგი არასდროს ჩერდება მე-13 ან მის ჯერადნომრიან გვერდებზე. მას ასევე ეშინია სიბნელისა და უშუქოდ ვერ იძინებს.

ზიგმუნდ ფროიდი

ფსიქოანალიზის მამას ადამიანებისთვის თვალის გასწორებისა ეშინოდა, სწორედ ამიტომაც იყო, რომ მან პაციენტებთან მუშაობის „საფირმო მეთოდი“ მოიგონა – როცა პაციენტი ტახტზე წევს, ექიმი მის უკან ზის. გარდა ამისა, მას შიშის ზარს სცემდა რიცხვი „62“, ამიტომაც არასდროს ჩერდებოდა იმ სასტუმროში, სადაც ოთახთა რიცხვი 61-ეს აღემატებოდა, რათა შემთხვევით „უბედური“ ნომერი არ შეხვედროდა. პირისპირ საუბრისა და ციფრი 62-ის გარდა, ფროიდს იარაღისა და... გვიმრების ეშინოდა. იარაღის შიშს იგი ნაგვიანები სექსუალური მოწიფულობით ხსნიდა, მაგრამ სრულიად უწყინარ მცენარეთა საკუთარ თავზე ესოდენ ძლიერი ზეგავლენის მიზეზს ვერაფრით ჩასწვდა.

ნაპოლეონ ბონაპარტე

კორსიკელ კაცს, თურმე, თეთრი ცხენებისა ეშინოდა და ის მხატვრული ტილოები, სადაც იმპერატორი თეთრ რაშზეა ამხედრებული, მხოლოდ ავტორთა ფანტაზიის ნაყოფია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონი არც სხვა ფერის ცხენებს წყალობდა დიდად. თანამედროვეთა მოწმობით, იგი მაინცდამაინც მოხერხებული მხედარი არ იყო – რამდენჯერმე ცხენიდან ჩამოვარდა კიდეც, ხოლო, როცა ერთხელ ეტლის მართვა თავად გადაწყვიტა, ლამის საკუთარი მეუღლე და ქალიშვილი იმსხვერპლა.

ნაპოლეონს კიდევ კატები არ უყვარდა. თურმე, ერთხელ, ბავშობაში, მას გულზე უპატრონო ხვადი კატა მიხტომია და მას შემდეგ მომავალმა მხედართმთავარმა მათი ჯიში სამუდამოდ შეიძულა.

სერგეი ესენინი

ამ მექალთანე და ქეიფის მოყვარულ კაცს სიფილოფობია ჭირდა, რაც სიფილისით დაავადებით შიშს გულისხმობს. პოეტის მეგობარი ანატოლი მარიენგოფი იხსენებდა: „სახეზე პაწაწინა მუწუკიც რომ ამოსვლოდა, შიშით დანა პირს არ უხსნიდა. ერთხელ ბიბლიოთეკაშიც კი წავიდა საგანგებოდ, რათა ამ საშინელი სნეულების ნიშნების შესახებ წაეკითხა, მაგრამ ამას საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა, რადგან ვერც მექალთანეობას ელეოდა, თან გამუდმებულ შიშში იყო“.

ვუდი ალენი

საძვეყნოდ ცნობილ რეჟისორს ქვეყანაზე ყველაზე მეტად რაიმე ფობიის გაჩენისა ეშინია! მისი გაგება ძნელი არ არის, რადგან მას „ცოტათი“ უამრავი რამისა ეშინია, მაგალითად, სიმაღლის, ბრბოსი, მიკრობების, მზის სინათლის, ირმებისა და კიდევ ათასი სხვა რამის.

ალფრედ ჰიჩკოკი

თრილერებისა და საშინელებათა ფილმების ავტორს საოცრად ეშინოდა... კვერცხების! მას ცხოვრებაში არც ომლეტი დაუგემოვნებია, არც ტაფამწვარი. მეტიც: ნებისმიერი ოვალური, კვერცხისებრი ფორმის საგანი მასში პანიკას იწვევდა.

ონორე დე ბალზაკი

დიდ მწერალს ყველაზე მეტად... ცოლის შერთვისა ეშინოდა. წლების მანძილზე იგი გათხოვილ ქალბატონს, გრაფინია ეველინა განსკაიას ეტრფოდა. მათი შეხვედრიდან ათი წლის შემდეგ ქალი დაქვრივდა, მიუხედავად ამისა, ბალზაკი მთელი რვა წლის მანძილზე ეველინას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ გრაფინამ მაინც თავისი გაიტანა. შიშისგან მწერალი... ავად გახდა და საცოლეს ბარათი მისწერა – ჩემი ჯანმრთელობის საქმე ისეა, რომ უფრო სავარაუდოა, რომ სასაფლაოზე გამაცილებთ, ვიდრე ჩემს სახელს მოირგებთო. ჯვრისწერაზე ბალზაკი სავარძლით მიიტანეს, ვინაიდან თავისით სიარული არ შეეძლო, ხუთი თვის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა.

თამარ გოგიაშვილი

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წინ აღვუდგეთ სიბინძურეს

ყველანი უნდა დაგვაფიქროს და შეგვძრას იმ ფაქტმა, რომ სრულიად ახალგაზრდა, ოცდაორი წლის ნიჭიერმა და განათლებულმა ლიტერატორმა ლევან ბებურიშვილმა შესანატრი გამბედაობა გამოიჩინა და დაწერა დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში ხელოვნურად დანერგილი მავნე, უსაზიზღრესი ტენდენციების მამხილებელი წიგნი „მწერლობის მოთვინიერება“ გრძელდება“. იგი თავისებურად ეხმიანება 1990 წელს გამოცემულ აკაკი ბაქრაძის ცნობილ გამოკვლევას „მწერლობის მოთვინიერება“...

სახეშეცვლილად, ფარისევლურად შენილბული ტერმინების გამოყენებით არანაკლები ბოროტება ხდება დღეს და ყველაზე უფრო საშიში, შემაშფოთებელი ის არის, რომ ყოველივე უმსგავსობას, რაც ჩვენი ერის თვითმყოფადობის, ზნეობის, საუკუნეობრივი ტრადიციების წინააღმდეგ არის მიმართული, უმაღლესი ხელისუფლება უჭერდა მხარს, სახსრებს არ ზოგავდა მათ წასახალისებლად. ეს მღვრიე, ბინძური ნაკადი, რომლის მასაზრდოებელთა უწმაწურობასა და თავხედობას საზღვარი არა აქვს, თანდათან ფართოვდება და თუ დროზე არ გადავეღობეთ, ყველაფერ წმინდას ერთიანად წალეკავს და დაასამარებს.

რეალურ ვითარებას ასახავს და არავითარ ეჭვს არ იწვევს ლევან ბებურიშვილის მოსაზრება, რომ „ვარდების რევოლუციამ“ სათავე დაუდო ხელისუფლებაში ე. წ. ნეოლიბერალების დამკვიდრებას, რის შედეგადაც „ნეოლიბერალიზმი სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია ხდება“. კიდევ უფრო შემაშფოთებელია იმის აღნიშვნა, რომ „ეროვნული ცნობიერების მოსპობა ნეოლიბერალთა უმთავრესი ამოცანაა“. ეს არ გახლავთ უსაფუძვლო, ჰაერში გამოკიდებული, ლიტონი განცხადება და ამის ნათელსაყოფად, თვით ჩვენი არასახარბიელო სინამდვილიდან, უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება, რასაც არ ერიდება ჩვენი ახალგაზრდა ავტორი. დღევანდელ, საეჭვო ღირსების „იდეოლოგებს“ და მათ მიმდევრებს ლიბერალიზმი გაუკუღმართებულად ესმით. ეს რომ ცხადი გახადოს, ლევან ბებურიშვილი მარჯვედ იშველიებს ილია ჭავჭავაძის განუზომელ ავტორიტეტს:

„ილია ჭავჭავაძემ უმკაცრესად ამხილა ქართველთა მანკიერებანი, მაგრამ ამ მხილებას ეროვნული ფენომენის უდიდესი სიყვარული ედო საფუძვლად. ნეოლიბერალებიც ბევრს წერენ ქართველთა უკეთურობებზე, მაგრამ მათი საქციელი ეროვნული ფენომენისადმი სიძულვილით არის მოტივირებული; ილია ჭავჭავაძე ებრძოდა იმ არარსებითსა და არაბუნებრივ თვისებებს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო ფესვი გაიდგა ქართველთა სულში; ნეოლიბერალები კი ებრძვიან იმ არსებითსა და ძირეულ ნიშნებს, რომელთა გარეშეც ქართველი კაცი აღარ იქნება ქართველი; ილია ჭავჭავაძის მიზანი იყო ქართველებს შეენარჩუნებინათ ისტორიული წარსული, დაბრუნებოდნენ ისტორიულ ძირებს, ამიტომაც ხალხს იდეალად უსახავდა ისტორიულ გმირებსა და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებს; ნეოლიბერალებს კი სურთ ქართველების გადაყვანა აზროვნების სხვაგვარ წესზე, თვისებრივად განსხვავებულსა და არაეროვნულ ნიადაგზე, ამიტომ ისტორიულ გმირებს ქონდრისკაცებად წარმოაჩენენ და ხალხს ეტალონად მამათმავლებსა და უზნეო ადამიანებს უსახავენ“...

ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთი მსოფლმხედველობის „მოაზროვნეებმა“, უპირველეს ყოვლისა, იერიში სწორედ ილია ჭავჭავაძის ღვაწლსა და პიროვნებაზე მიიტანეს. „დესაკრალიზაციის“ მანიით შეპყრობილი ვინმე გ. ღვინჯილია გაუგონარ ცინიზმს ამჟღავნებს, როცა ასეთ მკრეხელობას წერს: **„დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორი საშინელი მოსასმენიც არ უნდა იყოს ზოგიერთებისთვის (ზოგიერთები, ამ შემთხვევაში, მთელი ქართველი ერია — ე. კ.), კუჭშიც გადიოდა და, ალბათ, ისევე აფუჭებდა ჰაერს, როგორც სხვა დანარჩენი მოკვდავები და თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობაში (და შეიძლება უფრო მოწიფულ ასაკში და სიბერეშიც კი) მასტურბირებდა კიდევაც“.**

პიროვნების „გაფეტიშების“ წინააღმდეგ ამხედრებული გ. ღვინჯილია ასეთ „მოწყალებას“ იმეტებს ილიას მიმართ: **„ილია ჭავჭავაძემ თავისი სოციალური როლი პირნათლად შეასრულა და ერის ცნობიერება კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაწია“.**

საკითხავია, რა აუცილებელია, ილია ჭავჭავაძის ჩვეულებრივ მოკვდავად წარმოსახვისას, მას ასე ბილწად შეხედო და ყოვლად უკადრებელი იკადრო. ამისთანა რა გრანტი უნდა მოგცენ, რომ ნამუსზე მთლად აიღო ხელი და ჩვენს წმიდათაწმიდა ერის მამაზე ამდაგვარი სისაძაგლეები დაწერო.

ამის შემდეგ რამდენიც არ უნდა თქვა ილიაზე ან სხვაზე, რომ იგი „პირადად ჩემთვის უძვირფასესი არსებაა“... ასეთ ფარისევლობას არავითარი აზრი არა აქვს. არც ის არის შემთხვევითი, ამნაირთა თვალში მწერლობის ეტალონად ე. დეისაძის „საიდუმლო სირობა“ რომ ითვლება. ერთგან სწორედ მას იმოწმებს გ. ღვინჯილია: **„როგორც ერეკლე დეისაძე იტყოდა, კარგი მწერალი არ უნდა აკუებდეს“.** ამის მერე არ გახლავთ ძნელი მისახვედრი, რატომ ასდის აუტანლად მყრალი სუნი ამ ყმაწვილთა ნაწერებს და ვისაც მათი ახლებური „ნააზრევი“ არ მოსწონს, ყველას რეტროგრადად, ჩამორჩენილად აცხადებენ.

მწერლობაში მოკალათებული ნეოლიბერალები თუ როგორ ქედმაღლურად, ათვალისწუნებით უყურებენ უმდიდრეს, გასაოცარი მხატვრული გამომსახველობის მქონე ქართულ ენას. ამის მეტყველ მაგალითად ვახტანგ ჯავახაძემ თავის ერთ-ერთ ჩანაწერში „ლიტერატურული და პატრიოტული სინდისის დეფიციტი“ („ლიტერატურული გაზეთი“, №85, 2012) მოიყვანა და გაამათრახა დავით ჩიხლაძის სტატიის თავხედური, პარანოიკული გამონათქვამი, სადაც იგი უცხოელთან გულისამრევად კეკლუცობდა და თავსაც იწონებდა:

„მახსოვს, ერთხელ ინტერვიუში მთხოვეს, რამდენიმე სიტყვა მეთქვა ქართულ ენაზე. ინტერვიუერი ელოდა, როგორ შევაქებდი ქართულ ენას და მადლობას გადავუხდიდი ჩემს წინაპრებს. თუმცა, მისდა გასაკვირად, ვუპასუხე, რომ ქართული, ცოტა არ იყოს მოუქნელი და მოძველებული ენაა“.

ამის მთქმელთან შეკამათება მართლაც რომ წყლის ნაყვა იქნება. ვის სჭირდება ჩიხლაძის ან შექება ანდა მადლობა, როდის რა შეუქმნია საყურადღებო, ღირებული?! ასეთებისგან სახარბიელოს არაფერს არ უნდა ველოდეთ.

ამ უბადრუკობისა და უმადურობის ფონზე შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ჯალათებისგან წამებით მოკლული დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, ვინც, საამაყო წინამორბედების კვალდაკვალ, მთელი ცხოვრება ეთაყვანებოდა და იცავდა ქართულ ენას. ტყუილად როდი წერდა იგი ალმანახ „არფიონში“ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში:



„ქართველი ხალხის ეროვნული სახე და ნიჭი შემოქმედების არც ერთ დარგში არ გამოკვეთილა ისე მკაფიოდ, ღრმად და ფართოდ როგორც ხელოვნებასა და მწერლობაში“.

ენის მასაზრდოებელ წყაროდ მწერალი დიალექტებს თვლიდა და კუთხურ მეტყველებას ერთგან ასე შთაგონებულად და ხატოვნად ახასიათებდა: **„...იგი ნამდვილი ლექსიკოლოგიური საგანძურია, უშრეტი აუზია, რომელიც სალიტერატურო ქართულს ქვესკნელი წყაროებით გამუდმებით ჰკვებავს და ამდიდრებს. აქ ათასობით აწყვია ლიტერატურისთვის უცნობი სიტყვა — ჯერ კიდევ ცოცხალი და მფეთქავი და ეს უპატრონო და მთვლემარე სიტყვებიც საუკუნეობით ელიან მწერალს და მეცნიერს, როგორც მიწის გულში ჩამარხული მადანი ელის წერაქვს და დინამიტს“.**

დ. ჩიხლაძისა და მის თანამოაზრეთა ლექსებსა თუ პროზაში წამლად ვერ იპოვით „ცოცხალ და მფეთქავ სიტყვას“, უფერხორცო, სისხლისგან დაწრეტილი, მკვდრადშობილი ტექსტები წაკითხვის ყოველგვარ სურვილს გიკარგავს და ნამდვილი მწერლობის კუთვნილება ვერასდროს გახდება.

ყოველი ჭეშმარიტი ქართველი მწერალი თავდაუზოგავად უვლის და იცავს დაუშრეტელ ეროვნულ სიმდიდრეს — ქართულ ენას. მასზე დიდი განძი ჩვენ არ მოგვეძევება და როცა აურწყავ საუნჯეს საქილიკოდ, ტალახში ამოსასვრელად გაიმეტებ, მერე კალამს რა ნამუსით უნდა მოჰკიდო ხელი, მწერლობა როგორ უნდა დაიბრალო.

ახლახან „მაგთის“ მიერ დაფინანსებული და ლიტერატურის მუზეუმის ეგიდით სამაგალითოდ გამოცემული გრიგოლ რობაქიძის ხუთტომეულის მესამე ტომში გადავიკითხე „გველის პერანგის“ ავტორის ადრინდელი წერილი (1917), რომელსაც ანდერძივით სათაური აქვს — „ქართველ მწერლებს“ და დიდი სიამაყე განვიცადე.

ხანგრძლივ ემიგრაციაში მყოფი და უცხოეთში გარდაცვლილი გრიგოლ რობაქიძე განუზომელი სიყვარულითა და სასოებით წერს ქართულ მწერლობაზე, ქართული სიტყვის ძალმოსილებაზე. ხსენებული წერილიდან რამდენიმე ამონარიდი მაინც უნდა მოვიხმო:

„ქართველი ერისათვის მწერლობა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ „სფერო სიტყვიერებისა“, მწერლობა მისთვის უფრო რთულ ფენომენად ვლინდებოდა. ქართველი ერი არა თუ ჰქმნიდა მარტო მწერლობას, იგი კიდეც ჰცოცხლობდა მით: რომელიმე ტკბილხმოვანი შაირი, შთაგონების შადრევანს მოწყვეტილი



და ხალხში გადავარდნილი, საკუთარ სიცოცხლეს იწყებდა უცნაურად: იგი იშლებოდა ხან სიმღერის ჯადოსნური ხვეულებით, ხან ცეკვის ხალასი სამოსლებით.

ძართველი ერის სტილი მწერლობაში განსხეულდა, ქართული კულტურის პროფილი ლექსით გამოიკვეთა. საქართველოს სულის რელიეფი სამხატვრო სიტყვით გამოიხაზა“.

დაბოლოს, გრიგოლ რობაქიძემ ვიზიონერის შეუმცდარი გუმანით იგრძნო, რომ სულ მალე, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მის სამშობლოს ნანატრი თავისუფლება („ლაშარის გორზე შადგომა“) ეღირსებოდა, მაგრამ ამან, სამწუხაროდ, სამ წელს გასტანა. დავაკვირდეთ, რა შემართება ჩანს დიდი მწერლის ნათქვამში, როგორი რწმენა გამოსჭვივის:

„და აი ამ ჟამს, როცა ქართლის ბედი ცის მშვილდითაა შემორტყმული, ჩვენ, ქედმაღლებმა, უნდა წარმოვსთქვათ: საქართველო დადგინდება თავის თავად და ეტყვის მსოფლიოს თავის ნამდვილ სიტყვას“.

გავიდა სამოცდაათი წელიწადი. ისევ გვეღირსა თავისუფლება, მაგრამ გონიერება, ჭკუა არ გვეყო და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით.

იმის მაგივრად — ჩვენს მწერლობასა და ენას გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ, დავიცვათ, ზოგიერთები არაფერს თაკილობენ როგორც ერთის, ისე მეორის დასამცრობად.

ეს მთელი სიღრმით ჰქონდა გაცნობიერებული ჩვენს უნიჭიერეს მწერალს ოთარ ჭილაძეს, რომლის უმნიშვნელოვანეს პუბლიცისტურ წიგნს — „წინ მარადისობაა“ — ხშირად იმოწმებს ლევან ბებურიშვილი და ამ ციტატებიდან ერთი ჩვენც უნდა მოვიხმოთ, რათა შევიგრძნოთ, როგორი მამულიშვილური გზნებით, განგაშის სულისკვეთებით არის განმსჭვალული მისი თითოეული ფრაზა:

„ჩვენმა მტრებმა ჩვენზე უკეთ იციან ქართული მწერლობის ფასი და ისეთივე დაუნდობლობით ებრძვიან, როგორც, ქართული ენას, ქართულ ეკლესიას თუ ქართულ მეურნეობას ებრძოდნენ თავის დროზე, ანუ ებრძვიან ყველაფერ იმას, ურომლისოდაც უბრალოდ, შეუძლებელია, ქვეყნად იწოდებოდე, მით უფრო სახელმწიფოდ. რასაკვირველია, მტრების სივერაგისა და სისასტიკის ბრალია ჩვენი მწერლობის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა“.

თუ როგორი ცინიკური აღვირახსნილობით ებრძვიან ნეოლიბერალები ქართულ ეკლესიას, მართლმადიდებლობას, ყოველდღიურად ვხედავთ, მაგრამ არა და არ გამოჩნდა რეალური, ქმედითი ძალა, რათა ეს უმსგავსობანი ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

„წითელი იმპერიის“ დაშლასაც ისეთი ქაოსი მოჰყვა, გონზე მოსვლა და წელში გამართვა გვიჭირს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, მიზეზთა გამო, ეკონომიკის თვალსაზრისით და ტერიტორიების დაკარგვის მხრივაც, ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა, კრიზისს თავი ვეღარ დავაღწიეთ.

ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან, ერთერთ სააღდგომო ეპისტოლეში (1999) ჩვენი პატრიარქი გულისტკივილით ამბობდა:

„ნათელია, რომ მეტად რთულ დროში გვიწევს ცხოვრება. მატერიალურ სიდუხჭირეს ისიც დაემატა, რომ ეს არის ხანა მარადიული ღირებულებების რყევისა და მსხვრევისა. ხდება გაუფასურება საუკუნოვანი ტრადიციებისა და ცხოვრების წესისა, ინგრევა იერარქიული რიგი... ანუ ის, რასაც ეფუძნებოდა საზოგადოებრივი წყობა. წარსულის სიკეთენი უგულებელყოფილია, რომელთა ადგილს იკავებს ახალი, სამწუხაროდ, უარყოფითი ტენდენციები, რაც თავისუფლებას დიდი ეჭვის ქვეშ აყენებს. წმინდა ისააკ ასურელი ამბობს: „არასრულყოფილ საუკუნეში თავისუფლება, თანაც სრულყოფილი, არ არსებობს“. და მართლაც, განა შეიძლება ჭეშმარიტ თავისუფლებაზე საუბარი იქ, სადაც უარს აბობენ ზნეობრივ ცხოვრებაზე და მის ნაცვლად პროპაგანდა ეწევა პრიციპს „ყველაფერი ნებადართულია“. ნუთუ ნორმალური ყოფა ეთქმის იმ გარემოს, სადაც ადამიანის კატასტროფული სულიერი დაცემის პროცესს თავისუფლებისკენ სწრაფვად სახელდებენ და საშინელი ცოდვის მონობას ადამიანების ბუნებრივ მდგომარეობად აცხადებენ?!“

დიდმა პოლონელმა მწერალმა ვიტოლდ გომბროვიჩმა, ვინც იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო, ოცდაოთხი წელიწადი გაატარა შორეულ არგენტინაში და იქ ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, დაწერა დღიურების მეტად საყურადღებო წიგნი; ბევრი მწარე სიმართლე თქვა თავის სამშობლოზე, მწერლობაზე, ხელოვნებაზე. ყოველთვის უკიდურესი პირდაპირობით გამოირჩეოდა. გასული საუკუნის სამოციანი წლებშივე იგი გადაგვარების აშკარა ნიშნებს ხედავდა ადამიანთა ყოფაში და ეს ტენდენცია შემდგომ კიდევ უფრო გაძლიერდა. გადაგვარება, ზნეობის დაცემა გაცილებით მეტ ზიანს მოუტანს ჩვენისთანა პატარა ერებს და მის ყოველ გამოვლინებას შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ.

ერთობ საგანგაშო, რეალურ ფაქტებსა და ვითარებაზე დამყარებულ პროგნოზებს შეიცავს ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის პატრიკ ბიუკენენის ტრაგიკული ტონალობის წიგნი „ცივილიზაციის დაღუპვა“, სადაც შეულამაზებლად არის ნაჩვენები გლობალური საშიშროება, რაც ამერიკას და ევროპას, მათ შორის, რუსეთსაც ახლო მომავალში მოელის და ესეც უკავშირდება ზნეობის დაცემას, ქრისტიანული სარწმუნოების გავლენის მკვეთრ შესუსტებას. ბიუკენენი აღნიშნავს — პრეზიდენტ რეიგანის დრო მოსანატრებელი გახდაო.

ლევან ბებურიშვილმა წინამდებარე წიგნში დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ნეოლიბერალიზმის უმთავრესი მიზანია ქართული ეკლესიის განადგურება, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ეს ვერ შეძლეს. უთუოდ სარწმუნოა და საერთო სულისკვეთებას გამოხატავს ახალგაზრდა კაცის ეს შემაჯამებელი თვალსაზრისი: **„ერთადერთი სისტემა, რომელიც საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ეროვნულ პრობლემატიკაზე, რომელიც თავის თავში იცავს და პატრონობს ქართულ ეროვნულ ფენომენს, არის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია“.**

რანაირად უნდა იყოს დაგეშილი, როგორ უნდა ჰქონდეს ადამიანს გაუკუღმართებული ტვინი, რომ ასეთი რამის დაწერა იკადრო:

„ქართველი ერისათვის მწერლობა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ „სფერო სიტყვიერებისა“, მწერლობა მისთვის უფრო რთულ ფენომენად ვლინდებოდა. ქართველი ერი არა თუ ჰქმნიდა მარტო მწერლობას, იგი კიდეც ჰცოცხლობდა მით: რომელიმე ტკბილხმოვანი შაირი, შთაგონების შადრევანს მოწყვეტილი და ხალხში გადავარდნილი, საკუთარ სიცოცხლეს იწყებდა უცნაურად: იგი იშლებოდა ხან სიმღერის ჯადოსნური ხვეულებით, ხან ცეკვის ხალასი სამოსლებით.

„...მართლმადიდებლობა ქართველი ხალხის სუბოტექსი გახდა“ (გ. მაისურაძე). გაკიცხვის ნაცვლად, ასეთი მკრეხელობის მქადაგებელს აჯილდოებენ, რაც ამავე წიგნშია აღნიშნული.

ყოველ პატიოსან, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს უნდა აღაშფოთებდეს ის უმსგავსობა, რაც ჩვენ თვალწინ ხდება და რაზედაც დაუფარავად, მიკიბ-მოუკიბავად წერს სულით ხორცამდე შეძრული ყმაწვილი კაცი:

„როდესაც ჩვენს ქვეყანაში მრავალი ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური თუ ეკოლოგიური პრობლემა არსებობს, მასმედიის ინტერესი ვერ სცდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აღვირახსნილობას, ლიტერატურაში!..

პროსტიტუციის ლეგალიზაცია, ე. წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტი“, ჰომოსექსუალიზმი და ა. შ. ამ თემებზე მსჯელობისას კი იწვევენ არაკომპეტენტურ ადამიანებს, სამედიცინო სფეროს მოღვაწეებს, ფსიქოლოგებსა თუ სოციოლოგებს, არამედ იმავე „ბომონდის“ წარმომადგენლებს, მოქმედსა თუ პერსპექტიულ მეძავებს, რომლებიც სქესობრივი აღვირახსნილობის პირდაპირი მოწოდებით გამოდიან“.

ნეოლიბერალები არაფერს რომ არ იშურებენ თავიანთი საძრახი მიზნების განსახორციელებლად, ლევან ბებურიშვილს მრავალი საამისო მაგალითი მოუხმია. დღემდე ყოფილი ხელისუფლების ინტერესების დამცველი, ძვირადღირებულ ქაღალდზე დაბეჭდილი პოლიტიკური მიმართულების ყოვლად უღიმღამო ჟურნალის – „ტაბულას“ რედაქტორის ყოველთიური ხელფასი 11 000 ლარი ყოფილა, როცა კატასტროფულად შემცირებულ ინსტიტუტებში დასაქმებულ საუკეთესო მეცნიერს მეეზოვის ანაზღაურებაც სანატრელი აქვს.

ცალკეა ნათქვამი რიგ გამომცემლობათა საზიანო მიზანდასახულობაზე, რაც აკნინებს ჩვენს კულტურას, რყვნის მკითხველის გემოვნებას. ცხადია, არავისთვის არ არის სასიამოვნო ასეთი ბრალდების წაკითხვა:

„თანამედროვე ქართულ მწერლობაში ანტიხელოვნების დამკვიდრების პროცესში სრულიად განსაკუთრებულია „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ღვაწლი. ეს გამომცემლობა მწერლობად ასაღებს შემოქმედებით ნიჭთან მწყრალად მყოფ არაერთ ავტორს და გონებას უბნევს მკითხველებს. საკმარისია ვინმემ ეპატაჟური, სამშობლოსა და ეკლესიის სიძულვილით აღსავსე ტექსტი დაჯღაბნოს, რომ სულაკაური მზადაა, სასწრაფოდ გამოსცეს იგი“.

იქვეა ჩამოთვლილი ამ გამომცემლობის (საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, რომ იქ, დროდადრო, კარგი, საჭირო წიგნებიც გამოდის) მიერ დასტამბული, სკანდალურად გახმაურებული ავტორების (ე. დეისაძე, ნ. თარხნიშვილი, ზ. კოშკაძე) „ქმნილებები“. რა უნდა მოსთხოვო, მაგალითად, ისეთ, ყველაფრის წამბილწველ ადამიანს, ვის ნაწერშიც „მოთხრობილია, თუ როგორ ამყარებს პერსონაჟი გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივ კავშირს საკუთარ დიდ ბებიასთან (გვ. 113).

საზოგადოება კარგად ხედავს, რომ ლიტერატურული პრემიების დარიგება ცალმხრივად, მიკერძოებულად ხდება. ამაზე არაერთხელ დაიწერა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად გრძელდება. განსაკუთრებით ბევრმა გაუგებრობამ და აფიორამ მოიყარა თავი „საბას“ გარშემო.

გასულ წელს, მაგალითად, ეს პრემია ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ჟანრში მიაკუთვნეს „ყოველივე ქართულის პათოლოგიურად მოძულე გ. მაისურაძეს“ და ასეთი შემთხვევები გამონაკლისი როდია. არავითარ ეჭვს არ იწვევს ლევან ბებურიშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **„ახალი, „ლიბერალური ელიტის“ წარმომადგენლები მორიგეობით აჯილდოებენ ერთმანეთს და ამ მასკარადს ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემიად ასახელებენ“.**

ის, რაც ქართული ეკლესიის უბადლო შეურაცხმყოფელის ზ. ბურჭულაძის ერთ წიგნშია („ხსნადი კაფკა“) ნათქვამი გაბრიელ ბერსა და საქართველოს კათოლიკოსზე და რაზედაც ლევან ბებურიშვილი მიუთითებს, იმდენად აღმაშფოთებელია (გვ. 98), რომ იმას ვერაფრით ვერ ამოვიწერ. უხერხულზე ცოტათი მეტიც კია, ილიასა და აკაკის მწერლობა გეეჭვებოდეს და ზ. ბურჭულაძეს აქებდე.

ზოგიერთი იქამდე დაეცა – „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ყველაზე საკრალური პიროვნება კაბადოკიელი ქალწული – წმინდა ნინო – ავხორცად გამოიყვანა და სწორედ მისი ბილწი სტრიქონების წაკითხვისას ამბობს ლევან ბებურიშვილი: **„ძნელია, სისხლი არ გაგეყინოს“...** (გვ. 85). თვით ავტორს, თუკი დაფიქრდება, მთელი ცხოვრება არ ეყოფა საიმისოდ, ეს ცოდვა რომ მოინანიოს.

კარგა ხანია, წრეგადასული სკაბრეზულობით იქცევს ყურადღებას დანარჩენებზე ასაკით უფროსი კაცი ზურაბ ლეჟავა, ვის პროზაულ ნაწერებსაც სიმყრალის სუნი ასდის.

ლევან ბებურიშვილი გაკვრით მოიხსენიებს ზურაბ ლეჟავას ერთ მოთხრობას („სამანტას შეუსაბამო პოზა“), რომელშიც ამ ავტორის ესოდენ საყვარელი მამათმავლობის თემა ფიგურირებს.

ცოტა ხნის წინათ ზ. ლეჟავამ ახალგაზრდულ ჟურნალ „არტინფოშიც“ ორი მცირე პროზაული ტექსტი გამოაქვეყნა, დამწყებ კალმოსნებს თავისებური „მასტერ-კლასი“ ჩაუტარა – ენის დამბორკავი, ღვარჭნილი სტილით გაწყობილი გულისამრევი პორნოგრაფია შესთავაზა. ბევრად აჯობებდა, ხსენებულ ავტორს ცხოვრებისეული გამოცდილება უფრო ადამიანურ თემებზე საწერად გამოეყენებინა, თავისი ავადმყოფური ფანტაზიისთვის ნაკლები გასაქანი მიეცა.

ფსევდო-კულტურის გრანტირებული მსახურები ყოველნაირად ცდილობენ შემაძრწუნებელ უბადრუკობას, პოსტმოდერნიზმის სამოსელში რომ არის გამოხვეული, თეორიული დასაბუთება მოუძებნონ, ბუნებრივ მოვლენად გამოაცხადონ. ლევან ბებურიშვილი იმ უაღრესად სარწმუნო, მართებულ თვალსაზრისს იზიარებს, რომ **„...პოსტმოდერნი თავს ძალად მოხვეული კულტურული ვითარებაა, პოსტმოდერნიზმი კი ასეთივე ფორმით დამკვიდრებული ლიტერატურული მიმართულება, მოდა, რომელსაც ხშირად გაუცნობიერებლად მისდევენ“.** იქვე სწორადაა აღნიშნული: **„პოსტმოდერნის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ტოტალური ირონია ტრადიციულისადმი“.** ამის მაგალითები მრავლის უმრავლესი დაგროვდა. ნამდვილი ქართული მწერლობა ასეთ, ცინიზმის დამნერგავ გეზს არასოდეს გაითავისებს. ძნელია, არ დაეთანხმო ახალგაზრდა, ჯანსაღად მოაზროვნე ლიტერატორს, როცა იგი წერს: **„...დღეს პოსტმოდერნიზმმა საყოველთაოდ გაბატონებული და დაკანონებული ესთეტიკური მოძღვრების სახე მიიღო, რაც სრულიად არაბუნებრივია“.** საერთო სურათის ამსახველია შემდეგი პირდაპირი განცხადებაც: **„პოსტმოდერნიზმი არის ნეოლიბერალთა სახელმწიფო იდეოლოგია ხელოვნებაში“.** ამ იდეოლოგიის დანერგვამ რაც მოგვიტანა რეალურ ცხოვრებაში, ყველანი კარგად ვხედავთ და მასთან შეგუება საბოლოო გადაგვარების საწინდარია.

ლევან ბებურიშვილი მართებულად ეკამათება პატრიოტიზმის რაობაზე ლევან ბერძენიშვილს, ვისი კრედოც ასე გამოიყურება: **„ყველაზე პერსპექტიული და ყველა თვალსაზრისით სასარგებლო არის ამერიკული განმარტება, რომლის მიხედვით პატრიოტიზმი იგივეა, რაც ლოიალობა სახელმწიფო ინტერესებისადმი“.**

ამერიკული ყოფისა და კანონმდებლობის ბრმა, მონური მიბაძვა სიკეთეს ვერ მოგვიტანს. თვით ამერიკაშიც ბევრი გონიერი მოწინააღმდეგე ჰყავს ისტორიული მეხსიერების წასაშლელად მომართულ, ყოველივე ეროვნულის წამლეკავ გლობალიზაციას. რეალურ ვითარებას ითვალისწინებს და სრულიად ლოგიკურია ლევან ბებურიშვილის მსჯელობა: **„...არ არსებობს და არც არასოდეს არსებულა ამერიკული ეთნოსი, ამიტომ გამორიცხულია ამერიკაში ეთნიკური პატრიოტიზმის არსებობა“.**

ლამის ტრადიციად იქცა შემთხვევები, როცა ესა თუ ის გამომცემლობა მკითხველს „საუკეთესო მოთხრობების“ კრებულებად სთავაზობს ისეთ წიგნებს, სადაც ჩვეულებრივი ამბავია სექსუალური აღვირახსნილობა, ძალადობა, რელიგიის შეურაცხყოფა, ბილწსიტყვაობა, სიმყრალე, სოდომური ცოდვები და სხვა აღმაშფოთებელი უბედურებანი. აქ აღარ ჩამოვთვლი იმათ გვარ-სახელებს, ამ მხრივ განსაკუთრებულად რომ „ისახელეს“ თავი.

უკეთესი, სახარბიელო მდგომარეობა, ჩვენდა სავალალოდ, არც პოეზიის სარბიელზე გვაქვს და ამის დამადასტურებელი მაგალითებიც ლევან ბებურიშვილმა უხვად წარმოადგინა.

პირწმინდად გადაჯიშებულის, გამოთაყვანებულის გარდა ვის შეუძლია ასეთი ზიზღი, თანაც ასე ინფანტილურად, გამოავლინოს თვისტომთა მიმართ:

საქართველო აღარ მიყვარს,
აი, ჩემი წელთაღრიცხვა ახალი!
ქართველები მეჯავრება,
აი, ჩემი წელთაღრიცხვა ახალი!
ქართველობის მერცხვინება,
აი, ჩემი წელთაღრიცხვა ახალი!

ამას წერს ვინმე ე. ნოზაძე, ვისაც უმთავრეს ამოცანად „ეროვნული ნიჰილიზმის ქადაგება“ გაუხდია. ეს ავტორი საგრძნობლად შექანებული ჩანს, უცერემონიოდ დგება ჰომეროსის პოზაში და ზეცას შეჰღაღადებს:

მუზავ, უმღერე სისულელეს
ქართველთა მოდგმის!
...
ო, სისულელეე, სისხლისმიერო,
მოდგაფუნევ ქართულ ჯიგარში
აქ შენი ხოტბა ჯერ არავის აღუვლენია.

სქოლიოში ლევან ბებურიშვილს მითითებული აქვს ე. ნოზაძის წიგნი „ყამის მამალი“ (2001) და ირკვევა, რომ პოეზიის მუზასთან ეგზომ გაშინაურებული „მამალი“ „კავკასიური სახლიდან“ ყოფილა აფრენილი.

მამუკა ლეკიშვილმა, ვისი ბილწსიტყვაობაც კარგადაა ცნობილი, ადრევე მიიქცია არცთუ თავმოსაწონი ყურადღება. როგორ უნდა გქონდეს გონება, წარმოსახვა გაუკუღმართებული, რომ ერთ სიბრტყეზე დააყენო:

შენი წინაპრების ძვლები,
შენი ნაშიერის ქოჩორი
და შენი ცოლის განბანილი პროჭი.

მოყვანილი სტრიქონების ავტორის თვალში მაცხოვარი ასე გამოიყურება: „გოიმი იესო ქრისტე“. ამის მერე მის თანამოაზრეს პაატა შამუგიას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ჯვარცმულ ნაზარეველთან ასე ელაბუცა:

მოდი, როლები გავცვალოთ, ღმერთო,
შენ იყავი პაატა შამუგია,
მე ვიქნები ღმერთი,
სულაც არ არის ისე ძნელი,
შორიდან რომ ჩანს...

> „ბოლოს ტ. ჭანტურია რუსთველოლოგიური პრობლემატიკითაც დაინტერესდა. მისი ყურადღება მიიპყრო საკითხმა: ჰქონდა თუ არა ტარიელს ასმათთან სექსი? მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ვერავითარი არგუმენტი ვერ წარმოგვიდგინა, მან ამ შეკითხვას მაინც დადებითი პასუხი გასცა“.

პაატა შამუგიას არ ეტყობა, რომ დაუფლებული იყოს კლასიკური, ტრადიციული ლექსის ფორმებს; ძირითადად, ვერლიბრის მიმდევარია, შეუძლია რიგიანი თავისუფალი ლექსების წერა, მაგრამ ხშირად სძალავს იაფფასიანი ეპატაჟი, რაც ძალზე უსიამოვნო შთაბეჭილებას ახდენს. ლევან ბებურიშვილს მარჯვედ აქვს დაძებნილი ამ ყმაწვილის შლეგური „ინტერპრეტაციები“. ამათგან მოვიყვან პრემია „საბას“ კავალერის ერთ ექსტრავაგანტურ „დაკვირვებას“, სადაც თვალნათლივ ჩანს მისი „გამორჩეული“ მანერა:

ფსიქოანალიზური
გააზრებით,
ქოთანი დედის საშოა,
რომელშიც პრეემბრიონული
მოგონებები პროეცირდებიან,
ქოთნიდან ხვრეპა კუნილინგუსია,
ინცესტის არომატით...

ამგვარ „მარგალიტებში“ უხვადაა მიმობნეული მსგავსი უცხო სიტყვები, რითაც ვითომ დელიკატურად არის შენიღბული ე. წ. „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციები“.

ნაკითხი, დაკვირვებული, ავ-კარგის გამრჩევი ახალგაზრდა ლიტერატორი ლევან ბებურიშვილი აცხადებს: **„ქართულ პოეზიაში სკაბრეზის სათავეებთან ტ. ჭანტურია დგას“.** ძალზე დანდობილად, მოკრძალებულად არის ნათქვამი – სკაბრეზზე უფრო ბილწსიტყვაობა, უწმაწურობა, ზღვარდაუდებელი პორნოგრაფიაა, ის, რითაც ამ ამბიციური პიროვნების ყოვლად უგემოვნო, მდარე „ლექსპრომტებია“ გატიკნილი. ვისაც რითმების უაზრო ჭახა-ჭუხზე აგებული მისი ეს „ლექსპრომტები“ არ მოსწონს, ყველას პასკვილანტად ნათლავს და უეჭველია, ლევან ბებურიშვილსაც ამ გრაფაში მოაქცევს, მაგრამ ვეჭვობ, ამით მის მახათგაყრილ ჩხირკედელაობას რამე ეშველოს. წიგნის ამავე თავში („სქესობრივი აღვირახსნილობის პროპაგანდა“) ავტორი აღნიშნავს: **„სექსის თემა ტ. ჭანტურიას შემოქმედებაში მრავალწახნაგოვნებით გამოირჩევა“** და მოჰყავს მისი სტრიქონები, რომლებიც „დიდ გაოგნებას იწვევს“:

ბერავს პაპის ჯიბეში
ნაპოვნ პრეზერვატივს
მთელი გვარის იმედი –
რვა წლის გოგო – ფატი.

მან შეუბღალავი არაფერი დატოვა და ჩვენს უპირველეს სულიერ განძს, წმიდათაწმიდა წიგნს – „ვეფხისტყაოსანსაც“ მიადგა. ლევან ბებურიშვილი შეაცბუნა „დინოზავრ-დიზაინიანის“ ერთმა „გონებამახვილურმა“ ნაკვეთმა და იძულებული გახადა დაეწერა:

„ბოლოს ტ. ჭანტურია რუსთველოლოგიური პრობლემატიკითაც დაინტერესდა. მისი ყურადღება მიიპყრო საკითხმა: ჰქონდა თუ არა ტარიელს ასმათთან სექსი? მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ვერავითარი არგუმენტი ვერ წარმოგვიდგინა, მან ამ შეკითხვას მაინც დადებითი პასუხი გასცა“.

საგულისხმო დამთხვევაა – აქ ტ. ჭანტურიასა და პ. შამუგიას სენსაციურმა „მიგნებებმა“ ერთმანეთი ნარნარად გადაკვეთეს. ამაზე დიდი „ტრიუმფი“ ახლო, გინდ შორეულ მომავალში ქართულ მწერლობას ძნელად თუ ეღირსება.



ლევან ბებურიშვილი ასახელებს ტ. ჭანტურიას ღირსეულ მემკვიდრეს, ყველაზე ერთგულ მიმდევარს, მასავით ჭაღაროსან, სექსოპათოლოგიურ მოტივებზე ხანგრძლივად ნავარჯიშევ, შედარებით მომცრო მაესტროსაც (გ. ალხაზიშვილი), მაგრამ ამ შემთხვევაში დუმილს ამჯობინებს, **„ვინაიდან მისი შემოქმედება ამ კუთხით საგანგებოდ განიხილა თ. დოიაშვილმა“.**

რჩევების მიმცემად, ჭკუის დამრიგებლად არ გამოვდგები, მაგრამ სამწერლო ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდებს (პროზაიკოსებსაც და პოეტებსაც) გულწრფელად ვუსურვებდი, მიეტოვებინოთ ცრუ ორიგინალურობაზე გათვლილი, ყურადღების მისაქცევად განკუთვნილი სიბინძურეების წერა, ვინაიდან სულით და ხორცით გარყვნილთა მიბაძვას, წამხდურობას სიკეთე არასოდეს არ მოუტანია.

საქართველოს ეკლესიის წინამძღვარი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ვინც მუდამ გვიქადაგებს ქრისტიანული რწმენის, საუკუნოვანი ტრადიციების ერთგულებას, თავის ბოლო საშობაო ეპისტოლეში საგანგებოდ მოუწოდებდა ჩვენს ახალგაზრდობას, ფსევდოკულტურის თანამოაზრენი არ გახდეთო. კარგ მთქმელს კარგი გამგონე სჭირდება. თუ ყურად არ ვიღეთ მისი ბრძნული რჩევა-დარიგებები, არ აგვცდება სრული ზნეობრივი დაცემა, გადაგვარება, რისი ნიშნებიც საკმაოზე მეტია დღევანდელ არეულ ყოფაში.

ყველა გაკვირვებულია – ოთხმოცს გადაცილებული, ნაიუბილარი და ძველი ხელისუფლებისგან ნაპატივარი ტ. ჭანტურია, იმის მაგივრად, სიბერეში ცოტათი დამტკბარიყო და ფუთობით ჩადენილი ცოდვები ნაწილობრივ მაინც მოენანიებინა, უარესად გაბოროტდა, მთლად შხამის „ტიკჭორად“ იქცა და გესლს დაუზოგავად ანთხევს, რათა ამოჩემებულები დაწამლოს, ადამიანებს სიცოცხლე გაუმწაროს.

ამაზრზენია ნეკროფილიისკენ (მიცვალებულ მწერალთა დაუნდობელ სიტყვიერ გაუპატიურებას მე სხვა სახელს ვერ დავარქმევ) მისი გამოკვეთილი სწრაფვა, მიცვალებულთა საეჭვო „სიყვარული“, მკვდრებთან ორგვარი დამოკიდებულება აქვს – იმათ, რომელთა მიმართ, მოუნელებელი ბოღმა უთუხთუხებს, საფლავში არ აყენებს, წიხლით უმტვრევს კუბოს ფიცარს, ნაწილს კი, არავითარ საშიშროებას რომ აღარ წარმოადგენს, ელაციცება, ცაში აჰყავს და ამით საკუთარ ბიოგრაფიასაც იკოხტავებს – მის ღვარძლიან გულში არავითარი, თუნდ იოტისოდენა სიყვარული და პატივისცემა არ ჭაჭანებს, ყველაფერი მოჩვენებითია. ამ თემის გაშლა სამომავლოდ მომიწევს, ახლა კი მცირე მონახაზს დავჯერდები.

ცამეტი წლის წინ გარდაცვლილი უნიჭიერეს პოეტს შოთა ნიშნიანიძეს, ნეკა თითით მის გადამღუნველს, ვისი ერთი ლექსიც კი, თუნდაც „ხარი“, „ვიკილექსის“ ავტორის ფურფუტა, ვერსიფიკაციული ჯამბაზობით სავსე ტომებს მთლიანად გადასწონის, ზედიზედ გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა (ამის მიზეზიც იციან), ბევრმა წაიკითხა, მამაკაცისთვის რა უკადრისი სიბილწეებიც დაუწერა შოთას ღირსეულ მეუღლეს, შესანიშნავ მწერალსა და მთარგმნელს, ქვრივ ქალბატონს, თამარ ჩიჯავაძეს..

ჩემზეც ეტყობა, „მასირებული შეტევა“ აქვს ჩაფიქრებული...

ადრე, მეტწილად, დაუსახელებლად, მინიშნებულად მკბენდა და მშხამავდა. ამჟამად, როგორც სამხედრო ხელოვნებაში იტყვიან, „ყველა სახის იარაღიდან გამიხსნა გრიგალისებური ცეცხლი“. თავისი ჭკუით მომსპო, უკვე ღიადაც მასახელებს, რაღას არ მაბრალებს პროფესიონალი პროვოკატორი, მაგრამ აქ აღარ შევუდგები რაიმეს მტკიცებას (ანკი რა მაქვს თავის გასასამართლებელი!), ცალკე გავცემ შეულამაზებელ, უტყუარ ფაქტებზე დამყარებულ პასუხს, მასავით რაიმეს შეთითხვნა და მოჩმახვა არ დამჭირდება.

დასასრულ, დიდი მადლობა უნდა გადავუხადო სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ყმაწვილ კაცს, ლევან ბებურიშვილს, ვინაც ამ წერილის დაწერის საბაბი მომცა, თავი გადადო და ჩვენს საზოგადოებას გაბედულად გადმოუშალა ის მავნე, პათოლოგიური, მახინჯი ტენდენციები, რასაც მრავალჭირნახულ ქართულ მწერლობაში ტვინნაღრძობი, ავადმყოფურ მიდრეკილებათა ადამიანები შეგნებულად ნერგავენ. იმედია, ამ კეთილშობილურ ბრძოლაში იგი მარტო არ დარჩება.

ემზარ კვიტაიშვილი,
10 ოქტომბერი, 2013.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო გაათავისუფლებს არმიას პოლიტიკური მომზადებისგან

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲡ

საქართველოს არმია მთლიანად პროფესიული გახდება 2016 წელს, განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ. შეიარაღებული ძალების ფორმირებას იმ წარმატებებისა და წარუმატებლობის ანალიზის გათვალისწინებით, რომლებიც დაშვებული იყო აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტების დროს 90-იან წლებში, აბრეშუმი რუსეთთან ომში ხუთი წლის წინათ, დაეხმარება სპეციალური საბჭო, რომელიც გააერთიანებს საბრძოლო მოქმედებათა მონაწილეებს. მასში შედიან თავდაცვის ყოფილი მინისტრები გიორგი ყარყარაშვილი, დავით თევზაძე, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გურამ ნიკოლაიშვილი და ავტორიტეტული ექსპერტები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებს შორისაა — სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება და არმიის დეპოლიტიზაცია. პოლიტიზაციას მინიმუმამდე შეამცირებენ, რასაც განახორციელებს ამჟამად შექმნის პროცესში არსებული „სამეთვალყურეო საბჭო“. იმისთვის, რომ არ გაიმეორონ განვლილი, ექსპერტებმა შემოგვთავაზეს, შეისწავლონ თუ რამდენად შეუშალეს ხელი პოლიტიკოსებმა მაშინდელი მმართველი პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2008 წლის ომის დროს პროფესიულ სამხედროებს — მოამზადონ ოპერაცია — და როგორ აისახა ეს მთლიან საბრძოლო მომზადებაზე.

— საჭიროა ყველაფერი შევისწავლოთ, და დავაყენოთ მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი, — განაცხადა ჩვენთან საუბარში 1998-2004 წლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

მისი სიტყვებით, გამოკვლევის დროს შეიძლება გამოიკვეთოს სამხედრო დანაშაულობათა ნიშნები. გიორგი ყარყარაშვილმა, რომელიც სამხედრო უწყებას სათავეში ედგა 1992-1993 წლებში, 2008 წლის სამხედრო მოქმედებათა მონაწილეებთან პირადი საუბრების საფუძველზე უკვე მოამზადა დაშვებულ შეცდომათა დეტალური ანალიზი და ამასაც გამოიყენებენ საბჭოს წევრები. 2008 წელს, როგორც გურამ ნიკოლაიშვილმა გვითხრა, ფიასკოს მიზეზი იყო ის, რომ „სამხედროებმა არ შეუშალეს ხელი, პოლიტიკოსებს ეკეთებინათ სამხედრო საქმე, ეს კი დამთავრდა იმით, რომ პოლიტიკოსებმა ყველაფერი მიატოვეს და ხელი სამხედროებზე შეიმშრალეს“.

ქართული სამხედრო ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა გვითხრა, რომ „საბჭომ უნდა დაიწყოს ანალიზი 2008 წლის მოვლენებიდან, როგორც ყველაზე ახალი ამბებიდან“. მისი სიტყვებით, „ეს განსაკუთრებით აქტუალურია სამხედრო-პოლიტიკურ შეფასებათა თვალსაზრისით“.

— ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს სამხედრო კომპონენტებზე, მაგრამ პოლიტიკოსების პასუხისმგებლობასაც გადაწყვეტილების მიღების დროს გვერდს ვერ ავუვლით, ამბობს ექსპერტი.

შემდგომ ეტაპზე, მიაჩნია ირაკლი ალადაშვილს, უნდა გავარჩიოთ საქართველოს სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთში 2004 წლის ზაფხულში.

საკითხი შეეხება არა კონკრეტულად ვინმეს დასჯას, არამედ იმას, რომ შეცდომები კვლავ აღარ გავიმეოროთ,— ამბობს იგი.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია რეგულარულად აღნიშნავს, რომ ქართულ არმიას არ აქვს განზრახული, განახორციელოს შეტევითი ოპერაციები, მათ შორის „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის“. უფრო ადრე მან განსაზღვრა „ამჟამინდელი მთავარი საფრთხე“ თავისი ქვეყნისთვის: ეს არის რუსეთის სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

საუბარს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ან არ უნდა იყოს მომავალში ქართული არმია, ირაკლი ალასანია გააგრძელებს 21-22 თებერვალს ბრიუსელში ალიანსიდან კოლეგებთან შეხვედრის დროს. იქ უნდა განიხილონ ნატოს მხარდაჭერის პერსპექტივები საქართველოს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციაში. მანამდე ქართველი მინისტრი ტელეფონით ესაუბრა პენტაგონის ხელმძღვანელს ლეონ პანეტას. წელს ამერიკელები საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის გამოყოფენ 14 მილიონ დოლარს. 14 თებერვალს თავდაცვის მინისტრი პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან ერთად იმყოფებოდა თურქეთში, საქართველოს ერთადერთ მეზობელთან, რომელიც არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. ამერიკელებთან ერთად თურქები დიდი ხანია და აქტიურად ეხმარებიან საქართველოს არმიის მოდერნიზაციაში. მაგალითად, თურქეთის საფინანსო დახმარებით საქართველომ ხელახლა აღჭურვა სამხედრო აეროდრომი მარნეულში თბილისიდან 40 კილომეტრის დაშორებით და კოჯრის სასწავლო ცენტრი საქართველოს დედაქალაქის მახლობლად.

ᲒᲘᲕᲘ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲣᲬᲔᲡᲠᲘᲒᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

გადაცემის იმედი არ არსებობს

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა ბრალი დასდო ქართველ პოლიტიკოსს გივი თარგამაძეს მასობრივი უწესრიგობების მომზადებაში და ოფიციალურად გამოაცხადა ძიება მასზე. სხვათა შორის, თარგამაძის ძებნა დიდ დროს არ მოითხოვს — იგი ძველებურად ზის საქართველოს პარლამენტში. თბილისში უკვე უარი განაცხადეს თავიანთი დეპუტატის გადმოცემაზე, მაგრამ ადგილობრივმა პროკურატურამ არ გამორიცხა, რომ თავად დაიწყებს გამოძიებას მის წინააღმდეგ.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში გვაცნობეს, რომ პარლამენტის დეპუტატი გივი თარგამაძე, რომელსაც რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა ბრალი დასდო მოსკოვში მასობრივი უწესრიგობის ორგანიზაციაში და რომელზეც გამოცხადებულია საერთშაორისო ძებნა, არ იქნება გადაცემული რუსეთის მხარისთვის, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

საქართველოს მთავარი პროკურატურა გამორიცხავს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელის გივი თარგამაძის ექსტრადაციას.

„თარგამაძე საქართველოს მოქალაქეა და, კონსტიტუციის თანახმად, გამორიცხულია მისი გადაცემა რუსეთის მხარისთვის. დაიწყება თუ არა სისხლის სამართლის გამოძიება ამ საქმეზე, ჩვენ გადავწყვეტთ მას შემდეგ, რაც მივიღებთ მოთხოვნას რუსეთის მხრიდან“, — ამბობს მთავარი პროკურატურის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი ხათუნა პაიჭაძე.

პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენელი გიგი წერეთელი დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა არ გადასცემს მოსკოვს თარგამაძეს.

„გამოვრიცხავ, რომ საქართველოს მთავრობა ამას გააკეთებს. როგორიც უნდა იყოს ამჟამინდელი მთავრობის დამოკიდებულება ოპოზიციონერებისადმი, მგონია, რომ გამორიცხულია გადასცეს თარგამაძე რუსეთის მხარეს. თუ ასეთი რამ მოხდება, ეს იქნება ქვეყნის პრორუსული ორიენტაციის გაგრძელება და ევროპული კურსის დასასრული“, — აღნიშავს წერეთელი. შემდეგ მან დაუმატა, რომ, მისი აზრით, „ბრალდება თარგამაძის მისამართით ფალსიფიცირებულია“.

„ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ“

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ დღისით რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა დაადგინა, ბრალი დაედოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელს თარგამაძეს რუსეთის ფედერაციაში მასობრივ უწესრიგობათა მომზადების საქმესთან დაკავშირებით, გვაცნობა საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა ვლადიმირ მარკინმა.

„მას ბრალი ედება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მასობრივ უწესრიგობათა ორგანიზებაში „მემარცხენე ფრონტის“ კოორდინატორთან სერგეი უდალცოვთან, მის თანაშემწესთან კონსტანტინ ლებედევთან, აგრეთვე სახელმწიფო დუმის დეპუტატის თანაშემწესთან ლეონიდ რაზვოზჟაევთან ერთად. ამჟამად რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღო ოფიციალური პასუხი იმის შესახებ, რომ თარგამაძეს არ გააჩნია რაიმე იმუნიტეტი სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით“, — გვითხრა საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა. „დღეს თარგამაძეზე გამოძიებამ გამოაცხადა ძებნა, უახლოეს პერიოდში გამომძიებლებს განზრახული აქვთ შევიდნენ შუამდგომლობით სასამართლოს წინაშე მისი დაუსწრებელი დაპატიმრების შესახებ“, — აღნიშნა მარკინმა.

მისი სიტყვებით, „იმასთან დაკავშირებით, რომ გივი თარგამაძე არის უცხოეთის მოქალაქე, მისი ბრალდებულად გამოცხადება გამოძიებას არ შეეძლო, სანამ არ გამოარკვევდა, აქვს თუ არა მას რაიმე იმუნიტეტი“.

თავის მხრივ, საქმის ერთ-ერთი ფიგურანტის — ოპოზიციონერ ლეონიდ რაზვოზჟაევის დამცველებმა გვაცნობეს, რომ საქმეში არსებობს დოკუმენტი ადვოკატების მიერ თარგამაძის დაკითხვის შესახებ. „საადვოკატო დაკითხვა ერთვის საქმის მასალებს. სამწუხაროდ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ხელმოწერა საკითხის გაუხმაურებლობის შესახებ, მის შინაარსზე საუბარი არ შემიძლია“, — აცნობა „ინტერფაქსს“ რაზვოზჟაევის ერთ-ერთმა ადვოკატმა რუსლან ჭანიძემ.

ოქტომბრის დასაწყისში ტელეარხმა „ენტ-მ“ აჩვენა ფილმი „ანატომია პროტესტისა-2“. მისი შინაარსიდან, კერძოდ, ცნობილი ხდებოდა, რომ მოსკოვის ბანკის ექსპრეზიდენტმა ანდრეი ბოროდინმა გამოთქვა მზადყოფნა, გამოყოს დიდი თანხა რუსეთის ფედერაციაში სისტემისგარეშე ოპოზიციის მხარდასაჭერად. შუამავლად, ფილმის შემქმნელთა მტკიცებით, გამოვიდა თარგამაძე, ხოლო რუსეთში საპროტესტო მოძრაობის აქტივიზაციის გეგმის ერთ-ერთი შემსრულებელი — „მემარცხენე ფრონტის“ ორგანიზატორი სერგეი უდალცოვი, აგრეთვე ნაციონალისტები იყვნენ.

ფილმში გადმოცემული ცნობების შემოწმების შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე უდალცოვის, ლებედევისა და რაზვოზჟაევთან დაკავშირებით მასობრივ უწესრიგობათა ორგანიზაციის მომზადების ფაქტთან დაკავშირებით. გამოძიების ფარგლებში ლებედევი და რაზვოზჟაევი დაკითხეს.

დედამიწის ზურგზე

ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲜᲛᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ „ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ“ 75 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ

თამაშის დაწყების დროს ლეონარდ კუპერი ძლიერ ჩამორჩებოდა თავის მეტოქეებს, მაგრამ ერთხელ გარისკა და გაიჭრა ლიდერებში. სხვათა შორის, მან მაყურებელთა სიმპათიები მოიპოვა არა უშიშრობით, არამედ ორიგინალური მოწოდებით, რის გამოც მოიპოვა საუკეთესო საფინალო პასუხის ავტორის ტიტული თამაშების მთელი ისტორიის მანძილზე. ტრიუმფის შემდეგ კუპერს გამარჯვების ზეიმის თავიც აღარ ჰქონდა — ოღონდ დაეძინა.

* * *

ᲡᲔᲠᲑᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲩᲐᲛᲝᲔᲒᲓᲝᲗ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ

მაფიას განზრახული აქვს, მოაწყოს დაღუპვა იმ პირების დახმარებით, რომლებიც ემსახურებიან თვითმფრინავს საზღვარგარეთ ფრენის დროს. მაგრამ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს საფრთხე ვერ აჩერებს: ისინი აგრძელებენ ვიზიტებს. ამ დროს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეძლო, თავიდან აეცილებინა ბელგრადში რუსეთის ფედერაციის საელჩოზე თავდასხმა.

* * *

„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲔᲨᲐᲰᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲨᲘ“: ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲩᲘᲡ ᲘᲐᲮᲢᲐᲛ ᲦᲣᲨᲐ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲩᲐᲣᲨᲕᲐ, ᲡᲐᲤᲘᲫᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲐᲩᲘᲜᲐ ᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ

რატომ აღმოჩნდა მსოფლიოში ყველაზე დიდი იახტა, რომელიც რუს ოლიგარქს ეკუთვნის, მანჰეტენში, არ იციან ამერიკელმა ჟურნალისტებმა, მაგრამ ასეთი ხომალდი ნებისმიერ შემთხვევაში შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. არის ვარაუდი, რომ ოლიგარქის თანამგზავრი დარია ჟუკოვა მშობიარობისთვის ემზადება, და წყვილმა გადაწყვიტა დროებით ეცხოვრა იახტაზე.

* * *

„ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ“: ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲛᲐ ᲕᲘᲓᲔᲝᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲡ — ᲛᲘᲣᲯᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲔᲕᲠᲡ (ᲨᲢᲣᲠᲛᲐᲚᲡ)

მფრინავმა კაბინეტიდან ჩაწერა თავისი ფრენა გამანადგურებელ ბომბდამშენზე, აღბეჭდა მასზე ავიამზიდიდან სტარტის მომენტი, ხანგრძლივი ფრენა, ჰაერში სათბობის ჩატვირთვა და დედამიწაზე დაშვება. ლამაზი ღრუბლები, ჰორიზონტის მოღუნული ხაზი, გადაბრუნებული პეიზაჟი და როკ-მუსიკა თანმხლებად — მეტად მიმზიდველი გახდა „იუ თუბის“ მომხმარებელთათვის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კრივი

როცა დულილის ტემპერატურა ზღვარს სცდება

წლეულს მაისის მიწურულს ბელარუსის დედაქალაქში მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ეროვნული ნაკრების ძირითადი ბირთვის შერჩევას ემსახურებოდა საქართველოს ჩემპიონატი, რომელსაც ოთხი დღის განმავლობაში ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზი მასპინძლობდა. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ ფინალური პაექრობების დღეს ატმოსფერო არა მარტო რინგზე, არამედ დარბაზშიც საკმაოდ დაიმუხტა.

75 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულად გიორგი გიორგაძე რომ გამოცხადდა (მეტოქეს მან 27:20 სძლია), შედეგით უკმაყოფილო ბექა ხარძიანის მწვრთნელმა რამაზ ფალიანმა, რომელსაც ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან გათავისუფლების გამო ისედაც დაძაბული ურთიერთობა აქვს კრივის ფედერაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან, მსაჯისკენ გაიწია. მას ტრიბუნებიდან ხარძიანის ქომაგებიც აჰყვნენ და ლამის მონასტერიც აირია, მაგრამ დაცვამ მალევე მოახერხა მეამბოხეთა დაშოშმინება. დარბაზში მეორედ მაშინ დაიძაბა სიტუაცია,

როცა 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქუთაისელმა რომან თავაძემ ქულით სძლია რუსთაველ ალექსანდრე დოკვაძეს. არადა, დოკვაძის უპირატესობა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. შეჯიბრების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბონდო მამულაშვილმაც გულისტკივილით ილაპარაკა არბიტრთა უმეტესი ნაწილის დაბალ კვალიფიკაციაზე, საერთოდაც, მსაჯებისა და მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებზეც გაამახვილა ყურადღება.

ზემოთ აღწერილი ინციდენტების ზემოქმედებით შედეგები არავის გაუუქმებია, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ამ წონების ლიდერები – ევროპის 2011 წლის ბრინჯაოს პრიზიორი ჯაბა ხოსიტაშვილი (75 კგ) და იაგო კიზირია (81) ამჟამად ბაქოში იმყოფებიან და კრივის საერთაშორისო ფედერაციის პროფესიონალ მოკრივეთა საკლუბო ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ორიოდე კვირაში აზერბაიჯანის დედაქალაქი დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. შეჯიბრების ორგანიზატორებთან შეთანხმებით, 75 და 81 კილოში საქართველოს ჩემპიონები ბაქოს ტურნირის პირველსავე წრეში ხოსიტაშვილსა და კიზირიას შეხვდებიან და ამ პაექრობებში გამარჯვებულები დაიბევებენ ნაკრებში ადგილს.

ახლა კი მოკრივეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლების შედეგებს გაგაცნობთ:

49 კგ. დავით ნანავა (ფოთი) – მიხეილ კაზანჯიანი (თბილისი) – 38:8.

52 კგ. ავთანდილ ჭუბაბრია (ფოთი) – სევერიანე ჭილაძე (თბილისი) – 8:8 არბიტრების გადაწყვეტილებით ოქროს მედალი ზღვისპირელ სპორტსმენს ერგო.

56 კგ. გიორგი გოგატიშვილი (ფოთი) – მერაბ თურქაძე (ქუთაისი) –16:12,

60 კგ. გიორგი გელაშვილი (ქუთაისი) – ალეკო ლურსმანაშვილი (გორი) – 17:13.

64 კგ. ლევან შალამბერიძეს (ქუთაისი) ფინალში მეტოქე – ირაკლი ჭინჭარაული (რუსთავი) არ გამოუცხადდა და უბრძოლველად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ამ ახალგაზრდა მოკრივემ ჩემპიონატზე სპეციალისტთა მოწონება და ყველაზე ტექნიკური მოკრივის პრიზიც დაიმსახურა.

69 კგ. ზაალ კვაჭატაძე (თბილისი) – ლევან კაჟაშვილი – 20:9 (შეგახსენებთ, რომ კვაჭატაძე 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და 2012 წლის 23-წლამდელთა კონტინენტის პირველობის მეორეადგილოსანია).

75 კგ. გიორგი გიორგაძე (თბილისი) – ბექა ხარძიანი (თბილისი) – 27:20.

81 კგ. რომან თავაძე (ქუთაისი) – ალექსანდრე დოკვაძე (რუსთავი) 15:14.

91 კგ. ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი) – ალექსანდე კარტოზია (თბილისი) – 14:13.

+91 კგ. მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი) – გიორგი პურიჭამიაშვილი (თბილისი) – 13:7 (ბახტიძე 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორია).

დავით კვაჭაძე, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი: ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენთა მომზადებით უკმაყოფილო ვარ. რაც ოთხი დღის განმავლობაში ვნახეთ, საგანგაშოა. სასწრაფოდ რადიკალური ღონისძიებებია გასატარებელი, თორემ საერთაშორისო სარბიელზე შევრცხვებით. ევროპის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და, იქნებ, ხარვეზების გამოსწორება შევძლოთ. ბაქოს საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ნაკრების წევრები იქვე დარჩებიან და მასპინძლებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას გაივლიან. თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ვეჭვობ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მინსკში სრული შემადგენლობით გავემგზავროთ.

ლეძსო ციცაძე

◎ ევროტურნირები

ტაბლო

ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მეთექვსმეტედფინალი. I მატჩები: „ზენიტი“ – „ლივერპული“ 2:0, ბატე – „ფენერბახჩე“ 0:0, „ნაპოლი“ – „პლზენი“ 0:3, „ანჟი“ – „ჰანოვერი“ 3:1, კიევის „დინამო“ – „ბორდო“ 1:1, „სპარტა“ – „ჩელსი“ 0:1, „ლევანტე“ – „ოლიმპიაკოსი“ 3:0, „გლადბახი“ – „ლაციო“ 3:3, „ლევერკუზენი“ – „ბენფიკა“ 0:1, „აიაქსი“ – „სტიაუა“ 2:0, „ნიუკასლი“ – „მეტალისტი“ 0:0, „ატლეტიკო“ – „რუბინი“ 0:2, „ინტერი“ – „კლუჟი“ 2:0, „შტუტგარტი“ – „გენკი“ 1:1, „ტოტენჰემი“ – „ლიონი“ 2:1, „ბაზელი“ – „დნიპრო“ 2:0.

* * *

კალათბურთი. ევროლიგის II ჯგუფური რაუნდი. VII ტური. ცსკა – „პანათინაიკოსი“ 86:69, „ალბა“ – „უნიკახა“ 65:67, „ეფესი“ – „რეალი“ 74:72, „ბროზე“ – „ჟალგირისი“ 87:88 (დ.დ.) „მაკაბი“ – „ბარსელონა“ 77:82.

გიორგი ზოთაძე

განცხადება

ა/წლის 7 მარტს 15 საათზე შედგება სს „თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

2012 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები და მომავალი ამოცანები;

2. მოგების განაწილება;

3. სხვადასხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭო

◎ ადამიანი დროში

ქართველი ფოტოსნაიპერი 70 წლისაა

ალბათ ყველა მკითხველი დამეთანხმება, რომ ნებისმიერი ბეჭდვითი მედია, ფოტოილუსტრაციების გარეშე წარმატებებს ვერ მიაღწევდა, ხოლო მკითხველები ინტერესმოკლებული თუ წაიკითხავდნენ ყოველივეს. მაგრამ რა მოხდებოდა სპორტულ სამყაროში, ფოტორეპორტიორები რომ არ ჩართულიყვნენ? კრიტიკული სიტუაციების სხვადასხვა სიუჟეტებიანი ფოტოებით არ გაემდიდრებიათ საგაზეთო პუბლიკაციები, კორესპონდენციები, სტატიები. განსაკუთრებით სპორტული ასპარეზობებისა და შეჯიბრებების მასალები, რეპორტაჟები, და ა.შ., რომლებიც ნებისმიერ გამოქვეყნებულ მასალას სიცოცხლისუნარიანობას მატებს.

მკითხველს და გულშემატკივარს, სპეციალისტს და პროფესიონალს ერთი სრულფასოვანი ფოტოსურათიდან სპორტულ შეჯიბრებებზე, ჩემპიონატებზე და ა.შ. შერკინების, ასპარეზობის, მთელი საფეხბურთო მატჩის პერიპეტიების – კასკადის აღწერაც კი შეუძლია, არადა სწორედ ასეთი მწვავე მომენტებით გაჯერებული ფოტოილუსტრაციებით 50 წელია გვანებივრებს ძვირფასი პიროვნება, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტდამთავრებული, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და წარმატებული სპორტული ფოტორეპორტიორი ჟურნალისტი, „ღირსების მედლის და ორდენის კავალერი“, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი და ამავე ასოციაციის პირველი პრემიის ლაურეატი, მარად ახალგაზრდა, მოუსვენარი, მხიარული, დაუდგრომელი ალექსანდრე (სანდრო-„კოტორა“ (პაპაი ოქრო) კოტორაშვილი, რომელსაც ნახევარი საუკუნეა ფოტოაპარატი ხელიდან არ გაუშვია და თავისი სპორტული ფოტოშედევრებით მრავალი ათასი სპორტის მოყვარულის გული გაუხარებია. ჩვენი სასიქადულო სპორტსმენების ვალშიც არასოდეს დარჩენილა და ნებისმიერ მათ თხოვნას მყისიერად ასრულებს.

„კოტორას“ მიერ გადაღებულმა კრიტიკული მომენტებით აღსავსე ფოტოილუსტრაციებმა ქართველ ხალხს გამოჩენილი სპორტსმენებისა და ჩვენი სასიქადული ოლიმპიელების სიყვარული კიდევ უფრო გაუღვივა. ოლიმპიური თამაშები „კოტორას“ გარეშე ვერ წამომიდგენია, რადგანაც იცოდნენ, რომ მხოლოდ სანდროს შეეძლო ვნებები და სურვილები დაეცხრო და მაქსიმუმის მაქსიმუმი გაეკეთებინა ფოტორეპორტაჟებში, რომელიც ქართული სპორტის პროპაგანდასა და სიყვარულის განმტკიცებაში სათანადო წვლილს შეიტანდა ახალგაზრდებში. წარმოიდგინეთ საფეხბურთო მატჩებზე საათნახევარი როგორ უნდა იყო ჩასაფრებული გაუნძრევლად, ხშირად სუნთქვაშეკრული, მოლოდინში, როგორც სნაიპერი, რომელმაც საბრძოლო დავალება უნდა შეასრულოს. ფეხბურთის მატჩის არბიტრზე უფრო მეტად თამაშზე თვალის მიმდევარი, რომ არ გამოგრჩეს ფინტების, საგოლე მომენტების თუ გოლის გასვლის წამის მეათედი და მეასედი მომენტი. ეს მაშინ, როდესაც არ არსებობდა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფოტოაპარატურა. თითოეული ფოტოსთვის ანაზღაურებას ხომ არ იკითხავდით? არადა ჩვენსა და მის საყვარელ გაზეთ „ლელოში“ 35 წელი ითანამშრომლა – 1977 წლიდან 2012 წლის სექტემბრამდე, მაგრამ პროფესიაზე გულის აცრუება გუნებაში არასოდეს არ გასჩენია და ამჟამადაც არ უჩნდება. ის ისევ ისე, ძველებურად ენერგიულად და შემართებით იღვწის სპორტის სამსახურში და ორგანულად არის შეყვარებული თავის პროფესიაზე. რაოდენ სიყვარული უნდა გაგაჩნდეს სპორტისა და პროფესიისა, რომ დიდის მოთმინებითა და რუდუნებით ახარისხებდე, აკომპლექტებდე სპორტის სახეობების, შეჯიბრებების, სპარტაკიადების, ჩემპიონატების, ასპარეზობების, შეხვედრების და ა. შ. მიხედვით და ჟურნალში რეგისტრაციას უკეთებდე თარიღის, საათების, გვარსახელების მიხედვით. იმედი აქვს, რომ მის 500 ათასზე (ნახევარ მილიონზე) მეტ ისტორიულ უნიკალურ ფოტო კადრებს – არქივს გადაარჩენს, რომელიც ლიფტის უჯრედშია „შენახული“... გადარჩენაში სპორტის დეპარტამენტის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის დახმარების იმედი ჩვენც გვაქვს. დიახ, ეს კართოტეკა უნიკალურია, რომელსაც სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება. მოვა დრო და იოლი შესაძლებელია იგი ოქროს ფონდშიც შევიდეს.

ასეთია „პაპაი ოქროს“ მოღვაწეობის მოკლე, ერთი თვალის გადავლებითი ბიოგრაფია, სპორტის ფოტოსნაიპერის სანდრო-„კოტორა“ კოტორაშვილისა. მკითხველს მისი წარდგენა არ სჭირდება, რადგან იგი ფართო საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილია, მაგრამ მისი შემოქმედებითი საქმიანობა, ხასიათი, მცირეოდენი ანოტაცია პიროვნებისა, მისი ფსიქოტიპი საზოგადოების მცირე ნაწილისათვის თუ არის ცნობილი და იუბილარის უფრო ფართოდ გაცნობის საშუალება სწორედ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობამ მოგვცა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ .

– ბატონო სანდრო, გილოცავთ დაბადებიდან სამოცდაათ და სპორტულ სამყაროში ფოტორეპორტიორობის ორმოცდაათ წლისთავს.

– მადლობა მოლოცვისთვის.

– რამდენი წლის ასაკიდან ეზიარეთ ფოტოაპარატის სახელოვნებო პროფესიას და რომელი წლიდან იბეჭდებით გაზეთებში?

– 14 წლის ასაკიდან ფოტოს გადაღება დავიწყე დილეტანტის დონეზე, ხოლო გაზეთებში 20 წლის ასაკიდან

ვიბეჭდები. პირველი ფოტო 1962 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა. იგი დელისის მიდამოებში მოტოკროსის შეჯიბრების ამსახველი მომენტი იყო. კარგად მახსოვს, ესტონელმა კალკისმა გაიმარჯვა. 1963 წელს გაზეთ „ლელოში“ გამოვჩნდი, სადაც 1977 წლიდან 2012 წლის სექტემბრამდე რეგულარულად ვიბეჭდებოდი.

– როგორი გრძნობა დაგეუფლა, როდესაც შენი სურათი მრავალათასტირაჟიან ახალგაზრდულ გაზეთში პირველად დაიბეჭდა.

– ეს, როგორც ყველა დამწყებისთვის პირველი, თანაც დაუვიწყარი ნაბიჯი იყო. მან ბიძგი მომცა, თანაც სპორტული განყოფილების მუშაკები და რედაქტორები მეგობრულ ატმოსფეროს მიქმნიდნენ, რამაც საბოლოო გადაწყვეტილება მიმაღებინა, რომ არ მეღალატა ამ პროფესიისათვის.

– რამდენ ოლიმპიურ თამაშებს დაესწარი და, მათგან ყველაზე უფრო რომელმა მოგხიბლა?

– ოთხი ოლიმპიური თამაშების მონაწილე ვარ. პირველად 1996 წელს – ატლანტაში გახლდით, 2004 წელს – ათენში, 2008 წელს – პეკინში, 2012 წელს კი ლონდონში. მათგან უდიდესი შთაბეჭდილება პეკინმა დატოვა.

– გვახსოვს თქვენი სპორტული ფოტოსურათების გამოფენები, განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშების შემდეგ. საერთაშორისო გამოფენაშიც გაქვთ მონაწილეობა მიღებული. სულ რამდენი გამოფენა გაქვთ მოწყობილი?

– პირველი გამოფენა 1986 წელს მოვაწყვე. საერთოდ, ალბათ, თხუტმეტზე მეტი გამოფენის მონაწილე ვარ. სულ ექვს საერთაშორისო გამოფენაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. მოსკოვში მეორე საპრიზო ადგილი მომაკუთვნეს.

– როგორც გავიგეთ, ამ დღეებში საიუბილეო გამოფენას აწყობთ. ორგანიზაციას ვინ უწევს ან სად ვიხილოთ თქვენი საუკეთესო დინამიური სურათები. დღეს გამოფენის მოწყობა ხომ სოლიდური თანხა ჯდება.

– საიუბილეო გამოფენას საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია აწყობს, პრეზიდენტ გია გორგოძის ხელმძღვანელობით და იგი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით ეწყობა. გამოფენა ორშაბათს 18 თებერვალს 17საათზე გაიხსნება ლესელიძის ქუჩაზე არსებულ ქარვასლის დარბაზში. ყველას მადლობას მოვახსენებ ჩემი ღვაწლის დაფასებისა და დახმარების გამო.

70 წელს „კოტორა“ – კოტორაშვილს ვერავინ მიაკუთვნებს. ის დღესაც, ძველებურად უშრეტი ენერგიის მატარებელია. ჩვენი „პაპაი ოქრო“ (ასეთი სასიყვარულო სიტყვებით მიმართვა უყვარს ხოლმე და ჩვენც ვალში არ ვრჩებით) 100 წლის იუბილესაც კი გვაზეიმებს ფოტოაპარატით ხელში. დარწმუნებული ვართ, კიდევ რამდენიმე ათეულ წელს გაგვახარებს თავისი საუკეთესო სპორტული ფოტოჟურნალისტური საქმიანობით, ხოლო მის არქივს, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ფოტოკადრია, რომელიც ქართული სპორტული დიდების მწვერვალზე ასული სასიქადულო მამულიშვილების ისტორიაა ყუთებში ჩალაგებული კართოტეკისდა მიხედვით, საშიშროება ემუქრება და იმედი გვაქვს, მალე საკადრის ადგილს დაიმკვიდრებს, რათა თაობებს შემოვუნახოთ თავიანთ სასახელო წინაპართა მსოფლიოში მიღწეული წარმატებები, რათა აღიზარდონ მათ მაგალითზე და არ დასჭირდეთ მომავალში იმისი კვლევა-ძიება, თუ „ვისი გორისა არიან.“

იური გალდავა,
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სიზარმაცის ანატომია

— მოდი, დავიძინოთ! — არ გეზარება?

„მსოფლიო ეკონომიკის კონუტრები 1-2030 წლებში“ (დიახ, სწორედ ქრისტეშობიდან იწყება ეკონომიკური ანალიზი) — ასე ეწოდება ენგას მედისონის გახმაურებულ წიგნს, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ ერის ნებისმიერი თვისება, სიზარმაცეც და უთავბოლობაც კი, თუკი გონივრულად მივუდგებით, შეიძლება სარგებლიანი გავხადოთ.

კიდევ ერთ საკულტო ნაშრომიც — გრეგორი კლარკის „მშვიდობით სიღატაკე!“ — იმავე თემაზეა: სიზარმაცე ოქრო-ვერცხლზე უფრო ძვირფასია.

მკვლევარები ბერძნებს „ზარმაცების ერს“ უწოდებენ, არადა, სწორედ ამ „ზარმაცმა“ ხალხმა შექმნა თანამედროვე ცივილიზაცია. ვიდრე მონები მუშაობდნენ, ფილოსოფოსები ჩეროში ისხდნენ და იმის თაობაზე ბჭობდნენ, შედგება თუ არა სული ატმებისგან. ამის შედეგად ას წელიწადში მთელი მსოფლიო მეცნიერების საფუძველი ჩამოყალიბდა. წმინდა წყლის სიზარმაცედ შეიძლება მივიჩნიოთ ასევე მე-19 საუკუნის ნატურალისტების, იმავე ჩარლზ დარვინის მოღვაწეობა. საფრანგეთში კი სამეცნიერო საზოგადოებას სულაც „დილეტანტთა კლუბი“ ერქვა, თუმცა კი ეს დილეტანტები ნამდვილად არ იყვნენ უვიცები. ეროვნული სიზარმაცე ბევრი ერისთვის დიდი სიკეთის მომტანია, რადგან ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას არ აძლევს. მაგრამ ამჟამად სიზარმაცის გამოყენება, მაგალითად, ჩვენ, არ გამოგვივა, რადგან გადაუჭრელია მთავარი პრობლემა — თუ როგორ უნდა მოხდეს ჩვენი ინტეგრირება მსოფლიო საწარმოო ჯაჭვებში. უამისოდ კი სიზარმაცე „არ იმუშავებს“.

სიზარმაცე, ამა თუ იმ დოზით, ყველა ერისთვისაა დამახასიათებელი, იგი თავისებური დამცავი მექანიზმია. ზე-

მონახსენებ წიგნებში საინტერესო მაგალითებია მოყვანილი. მე-18 საუკუნეში კაცობრიობა იმდენად გამდიდრდა, რამდენადაც თავისი განვლილი ისტორიის მანძილზე. მაგრამ, ამავე დროს, ხალხს თავი ასე უბედურად არასდროს უგრძნია. ტექნოლოგიურმა აფეთქებამ გლეხობა ძველი ბუდეებიდან აყარა და გაცილებით მეტი მუშაობა აიძულა. ინდუსტრიალიზაციის შედეგის მკა კი კაცობრიობამ მხოლოდ მე-20 საუკუნეში დაიწყო! სწორედ მაშინ გაჩნდნენ პროფკავშირები, პენსიები, სოციალური შემწეობები. ამდენად, შრომის დაწყებიდან ბედნიერებამდე მისვლას 200 წელი დასჭირდა!

ბოლო დროს გაერო ბედნიერების ინდექსს ადგენს — გამოკითხვების დროს ხალხს ეკითხებიან, თუ რამდენად კომფორტულია მათი ცხოვრება. **2012 წლის ბედნიერების ინდექსში პირველ ადგილზე კოსტა-რიკა განთავსდა, რომელსაც მოსდევენ ვიეტნამი, კოლუმბია, ბრაზილია, ტანზანია, სხვა მსგავსები. ბოლო ადგილები კი იმ ქვეყნებს ერგოთ, რომლებშიც წინა პლანზეა მუშაობის იდეოლოგია — ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, იაპონია...**

ათასწლეულების მანძილზე მსოფლიო რადიკალურად არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ ერთი რამ მუდამ უცვლელი იყო: წარმატებულ საზოგადოებებში ყოველთვის იყო გამორჩეული კლასი, რომელსაც შეეძლო საკუთარი თავისთვის უფლება მიეცა, არ ემუშავა ფიზიკურად და შემოქმედებას მიჰყოლოდა. სწორედ ამ კატეგორიის ხალხმა აიყვანა მსოფლიო იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზეც კაცობრიობა დღეს-დღეობით დგას. ჩვენში ასეთი კლასი, სამწუხაროდ, არ არის და ის რომ გაჩნდეს, საამისოდ მათ, ვინც ტვინს ანძრევს და მეცნიერებას წინ სწევს, საზოგადოებამ ღირსეული გასამრჯელო უნდა გადაუხადოს, თუმცა რომელ გასამრჯელოზეა ლაპარაკი, როცა ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოში მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მთელი დარგები ისე განადგურდა, რომ მათ აღდგენას ათწლეულები არ ეყოფა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ეყრდნობა — ეახლებიან

ვანო მერაბიშვილის დედამ სკოლის მოსწავლეებსა და დამლაგებელს სცემა

ჟენია მერაბიშვილი სკოლის დირექტორი გახლავთ. რამდენიმე წლით წინ ის საუკეთესო სკოლის დირექტორად დაასახელეს. ახლა კი ვანო მერაბიშვილის დედას სკოლის მოსწავლეების ცემაში სდებენ ბრალს. მერაბიშვილმა გუშინ დილით, სკოლაში დაგვიანების გამო, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გოგონა თმით ათრია, მისი ორი თანაკლასელი კი ქოლგით სცემა. მანამდე კი ხელფასის დაკლების გამო უკმაყოფილო დამლაგებელი საკუთარი კაბინეტში დაიბარა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ბოლოს ხელითაც შეეხო.

განათლების სამინისტრომ ამ ფაქტის გამო ძიება უკვე დაიწყო.

„ახალი თაობა“

ჩიორას ტვინის შერყევის გამო წოლითი რეჟიმი აქვს

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ირწმუნებიან, რომ დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილს ტვინის შერყევა დაუდგინდა და წოლითი რეჟიმი აქვს დანიშნული. იგი თავს შეუძლოდ გრძნობს და სწორედ ამიტომ უწევს ევროპელი სტუმრების მიღება მწოლიარეს. უმცირესობის წევრი, პროფესიით ექიმი გიგი წერეთელი „უხამსობას“ უწოდებს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ ევროპარლამენტარის მიღება მწოლიარე თაქთაქიშვილის მიერ ინსცენირებული იყო და სიტუაციის დრამატიზებას ისახავდა მიზნად.

„რეზონანსი“

უნივერსიტეტიდან გაშვებული პროფესორები ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვენ

ლომაიას რეფორმების წყალობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებსმიღმა დარჩენილი პროფესორ-მასწავლებლები ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვენ.

უნივერსიტეტის არეოპაგეტული სამეცნიერო ცენტრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, პროფესორი დენიზა სუმბაძე საუბრობს, როგორ აპირებენ უნივერსიტეტის აღორძინებას, რომელი მიმართულების აღდგენას ითხოვენ და რატომ უწევთ არსებობისთვის ბრძოლა.

„ვერსია“

◎ დაიჯესტი

ახალი კინოაკადემია

რუსეთის კინოს ფონდმა და იტალიის კულტურის სამინისტრომ ერთობლივი კინოაკადემია დააარსეს.

ახალი კინოაკადემიის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები კინოსა და ანიმაციის სფეროებში განათლება, ორი ქვეყნის ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა შორის ურთიერთობის ხელშეწყობა, აგრეთვე ერთობლივი კინოწარმოების განვითარება იქნება.

დეტოჩკინის ძეგლი

ცნობილი რუსეთელი რეჟისორის ელდარ რიაზანოვის სამშობლოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კინოგმირს ძეგლი დაუდგეს.

პოპულარული ფილმის „უფრთხილდი ავტომობილს“ გმირის იური დეტოჩკინის ბრინჯაოს ქანდაკება ქალაქ სამარის კომკავშირის მოედანზე დადგეს. ძეგლი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ელდარ რიაზანოვის დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით შეიქმნა — რეჟისორი რუსეთელთა ერთ-ერთი საყვარელი კინომოღვაწეა.



მიქელანჯელოს მემკვიდრეობის დასაცავად

ვატიკანს სურს სიქსტის კაპელაში მნახველთა ოდენობაზე კვოტის დაწესება.

ცოტა ხნის წინათ, მიქელანჯელოს ფრესკებს, რომელთა სანახავად დღეში დაახლოებით 20 ათასი ტურისტი მიდის, „დაბადებიდან“ 500 წელი შეუსრულდათ.

ვატიკანის მუზეუმთა დირექტორის განცხადებით, „ხანგრძლივ პერსპექტივაში მტვერსა და ოფლის გამო სინესტეს ნახატების დიზაინერის მიზეზი შეიძლება გახდეს“.

სასახელო ნათესაობა

ოსკაროსანი მსახიობი ჯორჯ კლუნი ამერიკის დიდი პრეზიდენტის აბრამ ლინკოლნის ნათესავი აღმოჩნდა.

სერვის Ancestry com-ის სპეციალისტებმა, რომელიც გენეალოგიურ კვლევებს აწარმოებენ, დაადგინეს, რომ ქალბატონი სახელად ლულსი ჰენკსი, რომელიც აბრამ ლინკოლნის ბებია იყო, ჯორჯ კლუნის დედის მხრიდან მეხუთე თაობის დიდი ბებია ყოფილა. ამ ამბავს მსახიობის ოჯახი დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა.

მილოცვა

სანდრო ნათლიას — „კოტორას“ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ საიუბილეო თარიღს — 70 წლისთავს.

გაიხარე მონაგარში!

შენი მარიამ გალდავა

◎ ანეკდოტები

კაცი ბარში შედის, თვალისმომჭრელი სილამაზის ორ გოგონას გვერდით მიუჯდება და ბარმენს გასძახებს:

— ორი ლუდი გოგონებს. გოგონებო, თქვენ რომელი ლუდი მოგწონთ?

— დროს ტყუილად დაკარგავთ. ჩვენ ლესბოსელები ვართ, — პასუხობს ერთ-ერთი გოგონა.

— ეს როგორ?

— ჩვენ ქალებთან სექსი გვიყვარს.

— ბარმენ, სამი ლუდი ჩვენთვის, ლესბოსელებისთვის.

* * *

— რატომ არ უცვლიან სვანი დედები ბავშვებს პამპერსს ერთი კვირის მანძილზე?

— იმიტომ, რომ პამპერსს აწერია 4 კგ-მდე.

* * *

ძმარი ურეკავს ცოლს:

— მაკიაჟი გაკეთებული გაქვს?

— არა.

— მაშინ გამოდი გარეთ, მგონი გაძარცვას მიპირებენ.

* * *

— გუშინ ჩემი სიდედრი გველების გამოფენაზე იყო.

— მერე?

— მედალი მისცეს.

* * *

კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გარკვეული გოგონას ფიქრები: „თავში გუგლი მჭირდება, გულში ანტივირუსი, სახეზე კი — ფოტოშოპი“.

* * *

— გავიგე, სიდედრთან უთანხმოება გქონია.

— კი, მასეა, აგრარულ საკითხებზე ვერ ვთანხმდებით.

— ეგ როგორ?

— იმას უნდა მე ჩამდოს მიწაში, მე — პირიქით.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com